პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 38-ე წელი № 98 (11102) | კვირა, 27 აპრილი, 1958 წ. | ფასი 20 კაპ.

საბჭოთა აზერბაიჯანის 38 წელი

28 აპრილი აზერბაიჯანელი ხალხის ყველაზე ნათელი, ყველაზე სასიხარულო დღესასწაულია. 38 წლის წინათ ამ დღეს აზერბაიჯანის მშრომელები აღდგნენ მუსავატური მთავრობის, კაპიტალისტებისა და ხანების კონტრრევოლუციური ხელისუფლების წინააღმდეგ და დიდი რუსი ხალხის, სახელოვანი წითელი არმიის დახმარებით დაამყარეს ნამდვილად სახალხო საბჭოთა ხელისუფლება. ამ დღიდან დაიწყო ახალი ერა ჩვენი ხალხის მრავალსაუკუნოვან ცხოვრებაში — მისი საწარმოო ძალებისა და ეროვნული კულტურის სოციალისტური აყვავების, მისი ახალი თავისუფალი და ბედნიერი ცხოვრების ერა.

★

ი. აბდულაევი,
აზერბაიჯანის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე.

★

აზერბაიჯანის საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების 38-ე წლისთავს რესპუბლიკის მშრომელები აღნიშნავენ დიდი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობის ვითარებაში. ჩვენი დიდი ქვეყანა, რომელიც თხუთმეტი სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის ძმურ თანამეგობრობას წარმოადგენს, შევიდა თავისი ცხოვრების მეხუთე ათეულ წელიწადში. საბჭოთა ხალხი, რომელიც სათავეში უდგას სოციალიზმის ძლევამოსილ ბანაკს, წყვეტს სამეურნეო მშენებლობის ახალ გრანდიოზულ ამოცანებს. მრეწველობის მართვის გარდაქმნის შემდეგ იგი შეუდგა საკოლმეურნეო წყობილების შემდგომი განვითარებისა და მტს-ების რეორგანიზაციის შესახებ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის თებერვლის პლენუმისა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პირველი სესიის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელებას, რომლებიც წარმოადგენენ გაბედულ რევოლუციურ ნაბიჯს სოციალისტური სოფლის მეურნეობის განვითარებაში.

ეგებება რა თავის დღესასწაულს ახალი შრომითი წარმატებებით, აზერბაიჯანელი ხალხი ღრმა კმაყოფილების გრძნობით აჯამებს იმ დიდი გზის შედეგებს, რომელიც მან განვლო 38 წლის მანძილზე. ლენინის დროშით, საბჭოთა კავშირის ბრძენი და დიადი კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით. საბჭოთა ხალხების ძმურ ოჯახში აზერბაიჯანი ჩამორჩენილი მიწათმოქმედების განაპირა მხარედან გახდა მოწინავე სოციალისტური რესპუბლიკა, რომლის ეკონომიკაში გადამწყვეტი როლი ეკუთვნის განვითარებულ მსხვილ მრეწველობას. საბჭოთა აზერბაიჯანში სამრეწველო პროდუქციის წარმოება 1913 წელთან შედარებით თითქმის 14-ჯერ გაზარდა, ელექტროენერგიის გამომუშაება 52-ჯერ; მანქანათმშენებლობის პროდუქცია — 100-ჯერ.

ერთ სულ მოსახლეზე ელექტროენერგიის წარმოების მხრივ აზერბაიჯანი გაუსწრო ისეთ განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებს, როგორიც არიან იაპონია, იტალია და საფრანგეთი.

შექმნილია მრეწველობის მრავალი ახალი დარგი — მანქანათმშენებლობა, შავი და ფერადი მეტალურგია, სამთამადნო, ქიმიური და სხვ. არსებითად ხელახლა აშენდა მსუბუქი და კვების მრეწველობა. რესპუბლიკის მრეწველობის ტექნიკური და ეკონომიური სიმწიფის დადასტურებაა ის ფაქტი, რომ მისი 120-ზე მეტი სახეობის პროდუქცია, მათ შორის ტურბინებურღები, მოძრავი ელექტროსადგურები, ელექტრომოტორები იგზავნება მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში.

როგორც ცნობილია, აზერბაიჯანის ინდუსტრიასა და მთელ სახალხო მეურნეობაში განსაკუთრებულ, წამყვან როლს ასრულებს ნავთობისა და გაზის მრეწველობა. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების მომენტიდან რესპუბლიკაში ნავთობის ამოღება რამდენჯერმე გადიდდა, ხოლო გაზისა — 156-ჯერ. ბაქოში პირველად გაჩნდა ნავთობის ტექნიკის ბევრი სიახლე, ისეთები, მაგალითად, როგორიც არის ტურბინებურღი და სხვ. აზერბაიჯანელმა მენავთობეებმა დიდად შეუწყეს ხელი ჩვენი ქვეყნის აღმოსავლეთში ახალი ნავთობიანი რაიონების ათვისებას. მათ პირველნა კასპიის ზღვაზე ფართო მასშტაბით დაიწყეს საწვავის ამოღება ღია ზღვაში.

განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა გაზის მძლავრი საბადოს აღმოჩენას ყარადაღში. რესპუბლიკაში ბუნებრივი საწვავი გაზის ამოღებამ შარშან შეადგინა დაახლოებით 3.5 მილიარდი კუბური მეტრი. ესე იგი ორ წელიწადში ერთიორად და მეტად გაიზარდა. ამკამად გაზის სათბობით, მარაგდებიან ბაქოსა და ხუმგაითის სამრეწველო საწარმოები, გაზს ფართოდ იყენებენ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო საჭიროებისათვის. აზერბაიჯანი აპირებს თავისი ეს ახალი სიმდიდრე ძმურად გაუზიაროს საქართველოსა და სომხეთს.

აზერბაიჯანის მრეწველობა აღმავლობის გზაზეა. იქმნება ახალი დიდი საწარმოები — კიროვაბადის თიხამიწის ქარხანა, მინგეჩაურის საფეიქრო კომბინატი, ბაქოს შინის ქარხანა და ბევრი სხვა.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში ნკვეთრად შეიცვალა აზერბაიჯანის სოფლის მთელი სახე, ცხოვრება და მეურნეობა. რევოლუციამდელი აზერბაიჯანის სოფლის ჩამორჩენილობის სიმბოლო იყო ძველისძველი კავი-ხიში, ახლა კი დიდი სოციალისტური მეურნეობები — კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები აღჭურვილი არიან მძლავრი მანქანური ტექნიკით და მუშაობენ აგრონომიული მეცნიერების მიღწევებისა და სოფლის მეურნეობის ნოვატორთა მოწინავე გამოცდილების საფუძველზე.

ჯერ კიდევ საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში დიდი ლენინი აღნიშნავდა, რომ აზერბაიჯანში საჭიროა ყოველი ღონისძიებით განვითარდეს რწყვა. რწყვის განვითარება მას მიაჩნდა აზერბაიჯანის სოფლის მეურნეობის აღორძინების გზად, სოციალისტური განვითარების უმნიშვნელოვანეს პირობად. ლენინის მითითების შესასრულებლად პარტიამ და მთავრობამ რესპუბლიკაში დიდი მასშტაბით გააჩაღეს საირიგაციო და სამელიორაციო სამუშაოები.

მტკვარ-არაქსის დაბლობი დაიფარა არხების განშტოებული ხშირი ქსელით. მარტო ძირითადი სარწყავი კულტურის— ბამბის ნათესი ფართობი 1913 წელთან შედარებით თითქმის ერთიორად გაიზარდა. აზერბაიჯანში დღემდე გრძელდება სარწყავი სისტემების მშენებლობა.

აზერბაიჯანის საკოლმეურნეო მინდვრების მთავარი სიმდიდრეა ბამპა. თუ საბჭოთა ხელისუფლების წლებში მისი ნათესი ფართობი დაახლოებით ერთიორად გაიზარდა, საშუალო მოსავლიანობა გადიდდა სამჯერ და მეტად, ხოლო ნედლი ბამბის საერთო მოსავალი — 5,5-ჯერ. ავითარებენ რა სოციალისტურ შეჯიბრებას შუა აზიის მოძმე რესპუბლიკებთან, აზერბაიჯანელი მებამბეები ისახავენ ამოცანას — მისცენ წელს სახელმწიფოს სულ ცოტა 410 ათასი ტონა ნედლი ბამბა.

ვითარდება რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სხვა დარგებიც. კოლმეურნე გლეხობას ყველა შესაძლებლობა აქვს დაფაროს რესპუბლიკა ხეხილის ბაღებითა და ვენახებით. ამ უკანასკნელ წლებში ხეხილისა და ვაზის ნარგავები ვითარდება, მათი საერთო ფართობი თითქმის 90 ათას ჰექტარს აღწევს. კოლმეურნეობათა პერსპექტიული გეგმების მიხედვით 1965 წლამდე უნდა გაშენდეს 140 ათასი ჰექტარი ახალი ბაღები და ვენახები.

საზოგადოებრივ მეურნეობაში პატიოსან შრომას დიდი შემოსავალი მოაქვს გლეხებისათვის, იგი შეძლებული და კულტურული საკოლმეურნეო ცხოვრების საფუძველია. შარშან რესპუბლიკის კოლმეურნეობებმა მოიღეს 2 მილიარდ 36 მილიონი მანეთი შემოსავალი. ამასთან უკანასკნელ ოთხ წელიწადში ეს შემოსავალი გაზრდა 520 მილიონი მანეთით და მეტით.

აზერბაიჯანის კოლმეურნე გლეხობა დიდი კმაყოფილების გრძნობით შეხვდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებულ კანონს საკოლმეურნეო წყობილების შემდგომი განვითარებისა და მტს-ების რეორგანიზაციის შესახებ. დიდად მექანიზებულია რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის უმნიშვნელოვანესი დარგები, როგორც, მაგალითად, მებამბეობა. სომძლავრე მანქანური ტექნიკისა, რომელიც მომსახურებას უწევს სოფლის მეურნეობას, 250 ათას ცხენძალას აღემატება. ახორციელებს რა ახალ კანონს, ბევრმა კოლმეურნეობამ უკვე იყიდა მტს-საგან ტრაქტორები და სხვა მანქანები. რესპუბლიკის კოლმეურნენი, დარწმუნებულნი იმაში, რომ მძლავრი ტექნიკა ახალ პირობებში უკეთ, უფრო ნაყოფიერად იქნება გამოყენებული და ხელს შეუწყობს სოფლის მეურნეობის ყველა დარგის ახალ მკვეთრ აღმავლობას, ენთუზიაზმით იბრძვიან წლევანდელი უხვი მოსავლისათვის.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში ნამდვილ აყვავებას მიაღწია აზერბაიჯანელი ხალხის კულტურამ. ამ აყვავების საფუძველია საყოველთაო განათლება. აზერბაიჯანში. სადაც რევოლუციამდე წერა-კითხვის მცოდნე ადამიანები მოსახლეობის მხოლოდ რამდენიმე პროცენტს შეადგენდნენ, ახლა უკვე მრავალი წელია, რაც გახხორციელდა საყოველთაო შვიდწლიანი სწავლა და მიმდინარეობს მზადება საყოველთაო საშუალო განათლების შემოსაღებად. რევოლუციამდელ დროსთან შედარებით საშუალო და შვიდწლიანი სკოლების რიცხვი დაახლოებით 70-ჯერ გადიდდა. ამკამად რესპუბლიკის 4.184 სკოლაში სწავლობს 642 ათასზე მეტი ბავშვი.

საბჭოთა სახელმწიფოს მიერ შექმნილ 15 უმაღლეს სასწავლებელში სწავლობს 34 ათასზე მეტი სტუდენტი. თუ საფრანგეთში ყოველ 10 ათას მოსახლეზე 38 სტუდენტი მოდის, საბჭოთა აზერბაიჯანში მოდის 103 სტუდენტი.

უმაღლესი და საშუალო განათლების განვითარების შედეგად გაიზარდა ახალი, საბჭოთა ინტელიგენცია. რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში მუშაობს 120 ათასი სპეციალისტი, აქედან 58 ათასზე მეტს უმაღლესი განათლება აქვს.

საბჭოთა ხელისუფლების პირმშოა აზერბაიჯანული მეცნიერება. რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიასა და სხვა სამეცნიერო-საკვლევ დაწესებულებებში მუშაობს 5 ათასზე მეტი მეცნიერი მუშაკი. აზერბაიჯანელმა მეცნიერებმა დაამუშავეს ბევრი პრობლემა, რომლებსაც დიდი თეორიული და სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობა აქვს.

კლუბების, ყველა სახეობის ბიბლიოთეკების, კულტურის სასახლეებისა და სახლების და სხვა მასობრივი კულტურულ-საგანმანათლებელო დაწესებულებების რიცხვი აღემატება 8.200-ს. რესპუბლიკაში გამოდის 110 გაზეთი. ერთ სულ მოსახლეზე გაზეთების რაოდენობის მიხედვით აზერბაიჯანმა შორს მოიტოვა უკან მეზობელი კაპიტალისტური ქვეყნები.

საბჭოთა სახელმწიფო დიდად ზრუნავს მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვისათვის. ამას მკაფიოდ მოწმობს საექიმო დახმარების განვითარება. რევოლუციამდე აზერბაიჯანში ერთი ექიმი მოდიოდა 8 ათას ჭოსახლეზე, ახლა კი მოდის 480 კაცზე. ყოველ ათას სულ მოსახლეზე ექიმების რიცხვის მიხედვით ჩვენმა რესპუბლიკამ არამარტო უკან მოიტოვა მეზობელი ირანი და თურქეთი, არამედ გაუსწრო კაპიტალისტური სამყაროს თითქმის ყველა ქვეყანას, მათ შორის დასავლეთ ევროპის ქვეყნებს და ამერიკის შეერთებულ შტატებს.

საბჭოთა ხელისუფლების მანძილზე რესპუბლიკაში აღმოჩენილი და შესწავლილია მნიშვნელოვანი საკურორტო სიმდიდრეები, მშრომელებისათვის შექმნილია სანატორიუმები და დასასვენებელი სახლები, სადაც ყოველწლიურად მკურნალობს და ისვენებს ათეულათასობით კაცი, მათ შორის ისეთი უნიკალური, როგორიც არის ნაფტალანი მისი შესანიშნავი სამკურნალო ნავთობით. შენდება მაღალი მთის კურორტი „ისტი-სუ". საკურორტო მშენებლობის ამას წინათ მიღებული გეგმით რესპუბლიკის ჯანმრთელობის კერების გამტარუნარიანობა უახლოეს წლებში უნდა გაიზარდოს სამჯერ და მეტად. აზერბაიჯანს თავისი ასობით მინერალური წყაროთა და სხვა ბუნებრივი სამკურნალო რესურსებით ყველა შესაძლებლობა აქვს გადაიქცეს საბჭოთა კავშირის ერთ-ერთ ჯანმრთელობის კერად.

აზერბაიჯანში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების სახელოვან წლისთავს ახალი წარმატებებით ეგებებიან რესპუბლიკის კომპოზიტორები, მწერლები, პოეტები, მხატვრები, ხუროთმოძღვრები. თეატრები.

ჩვენი რესპუბლიკა მიმდინარე წლის გაზაფხულზე დღესასწაულობს აზერბაიჯანული ოპერის 50-ე წლისთავს. 1959 წლის შემოდგომაზე ჩვენთან ერთად მთელი ჩვენი ქვეყანა აღნიშნავს გამოჩენილი აზერბაიჯანელი პოეტისა და ფილოსოფოსის მოჰამედ ფიზულის გარდაცვალების 400 წლისთავს. შემოქმედებითი ორგანიზაციები დიდი აღმავლობით ემზადებიან აზერბაიჯანული ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწილავალი დეკადისათვის მოსკოვში.

დღესასწაულობენ რა საბჭოთა აზერბაიჯანის 38-ე წლისთავს, რესპუბლიკის მშრომელები სულით და გულით ეგზეგებარი სალამს უთვლიან თავის ძმებს — საბჭოთა კავშირის ყველა ხალხს, კომუნისტურ ა საზოგადოების გმირ მშენებლებს. აზერბაიჯანელი ხალხი თავისი ბედნიერი ღღეისათვის და კიდევ უფრო სასიხარულო ხვალინდელი დღისათვის დიდად მადლობელია დიადი კომუნისტური პარტიისა — ჩვენი ბელადისა და ჩვენი გამარჯვებების სულისჩამდგმელისა. საბჭოთა აზერბაიჯანის მშრომელებს მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი მშობლიური პარტიის წინამძღოლობით იბრძოლონ კომუნისტური მშენებლობის გეგმების განხორციელებისათვის, ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის გამარჯვებისათვის.

სურათზე: ბაქო. ნიზამის მოედანი.

მთავრობის ჯილდოების გადაცემა

24 აპრილს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ამხ. მ. დ. ჩუბინიძემ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სიგელები გადასცა თბილისში აფხაზეთის ასსრ ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადის მონაწილეებს, რომლებიც დაჯილდოებული არიან აფხაზური და ქართული საბჭოთა ხელოვნებისა და ლიტერატურის განვითარების საქმეში დამსახურებისათვის.

ჯილდოების გადაცემა მოხდა სოხუმის სახელმწიფო დრამატულ თეატრში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანმა ამხ. ზ. ბ. გელდიაშვილმა წაიკითხა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებანი დაჯილდოებისა და საპატიო წოდებათა მინიჭების შესახებ.

ამხ. მ. დ. ჩუბინიძემ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელი, რომლითაც დაჯილდოებულია აფხაზეთის ასსრ სომღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი, გადასცა ანსამბლის სამხატვრო ხელმძღვანელს, საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს რ. დ. გუმბას.

სიგელები საქართველოს სსრ სახალხო არტისტის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ გადაეცათ საქართველოს სსრ სახალხო არტისტს, სოხუმის სახელმწიფო დრამატული თეატრის მსახიობს რ. მ. აგრბას, საქართველოს სსრ სახალხო არტისტს, სოხუმის სახელმწიფო დრამატული თეატრის მსახიობს ა. ბ. არგუნ-კონოშოკს, საქართველოს სსრ სახალხო არტისტს, სოხუმის სახელმწიფო დრამატული თეატრის მსახიობს მ. ი. ზუბბას, საქართველოს სსრ სახალხო არტისტს, სოხუმის სახელმწიფო დრამატული თეატრის რეჟისორს ლ. დ. ჭედიას და საქართველოს სსრ სახალხო არტისტს, სოხუმის სახელმწიფო დრამატული თეატრის მსახიობს მ. დ. ჩუბინიძეს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ამხ. მ. დ. ჩუბინიძემ გადასცა სიგელები საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწისა და საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტის საპატიო წოდებათა მინიჭების შესახებ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელები მიიღო აფხაზეთის ასსრ ლიტერატურისა და ხელოვნების 53 მუშაკმა.

დაჯილდოებულთა სახელით სიტყვები წარმოთქვეს მწერალმა შ. ცვიბამ, საქართველოს სსრ სახალხო არტისტმა ა. არგუნ-კონოშოკმა და აფხაზეთის ასსრ დამსახურებულმა არტისტმა აფხაზეთის ასსრ სომღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის მსახიობმა მ. კაკაბაძემ. საქართველოს კპ აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მდივანმა ამხ. მ. ბღაჟბამ მადლობა გადაუხადა პარტიასა და მთავრობას აფხაზეთის ასსრ ხელოვნების მოღვაწეთა ოსტატობის მაღალი შეფასებისათვის.

ამხ. მ. დ. ჩუბინიძემ ჯილდოების გადაცემის შემდეგ აღნიშნა, რომ აფხაზეთის ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადამ თბილისში დიდი წარმატებით ჩაიარა. მან ცხადყო აფხაზი ხალხის კულტურის აყვავება, რასაც მან საბჭოთა ხელისუფლების წლებში მიაღწია.

ამხ. მ. დ. ჩუბინიძემ მხურვალედ მიულოცა დაჯილდოებულთ და უსურვა შემდგომი შემოქმედებითი წარმატებანი.

(საქადესი).

მოვიპოვოთ ახალი შრომითი გამარჯვებები. ღირსეული საწარმოო საჩუქრები ვუძღვნათ პირველ მაისს—მშრომელთა საერთაშორისო დღესასწაულს

დადგა რა საპირველმაისო შრომით ვახტზე თბილისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის მოწინავე მქსოველი ჟ. პაპიაშვილი ყოველდღიურ საწარმოო დავალებას სისტემატურად 130 პროცენტით ასრულებს.

სურათზე: მქსოველი ჟ. პაპიაშვილი მუშაობის დროს.

ფოტო ს. ონანოვისა. (საქდესის ფოტოქრონიკა).

მეტი ლითონისათვის ბრძოლაში

1958 წელს ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის კოლექტივმა ვალდებულება აიღო პროდუქციის გამოშვება 1957 წელთან შედარებით მნიშვნელოვნად გაადიდოს, პროდუქციის თვითღირებულება შეამციროს 0,35 პროცენტით, შრომის ნაყოფიერება გეგმასთან შედარებით გაზარდოს 0,3 პროცენტით.

აღნიშნული პირობის წარმატებით შესრულებისათვის ქარხნის კოლექტივმა ახალი ძალით გააჩაღა სოციალისტური შეჯიბრება უკრაინის სსრ ზაპოროჟიეს ფეროშენადნობთა ქარხნის და სომხეთის სსრ ალავერდის სპილენძსადნობი კომბინატის კოლექტივებთან.

სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებისათვის ქარხანაში გამოავლინეს და აამოქმედეს ახალი რეზერვები. გაუმჯობესდა მატერიალურ-ტექნიკური მომარაგება. წელს ქარხანა შეუფერხებლად მარაგდება ელექტროენერგიით და ნედლი მასალებით, რამაც გადამწყვეტი როლი შეასრულა საწარმოო დავალებათა შესრულებაში.

ვალდებულებათა განაღდებაში საპატიო წვლილი შეიქვთ ქარხნის რაციონალიზატორებს და გამომგონებლებს. მათი შემოქმედებითი აზრი მიმართულია შრომის ნაყოფიერების ამაღლების, მუშაობის ხერხების გაუმჯობესების, ელექტროენერგიის, ნედლეულის და დამხმარე მასალების ეკონომიისათვის ბრძოლისაკენ. 1957 წლის იანვრიდან დღემდე შეტანილ იქნა 110 რაციონალიზატორული წინადადება და ტექნიკური გაუმჯობესება, აქედან წარმოებაში დაინერგა 60 წინადადება, რითაც სახელმწიფო ყოველწლიურად 2 მილიონ მანეთზე მეტ ეკონომიას იღებს.

წელს განხორციელდა მნიშვნელოვანი ტექნიკურ-ორგანიზაციული ღონისძიებანი: მოხდა კირის გამოსაწვავი ღუმელის რეკონსტრუქცია; № 1 საამქროს საკაზმე განყოფილებაში დაიდგა ყბებიანი სამსხვრეველი; კაპიტალურად შეკეთდა № 2 ღუმელი; მექანიკური საამქროს სახარატო განყოფილებაში დაიდგა ხუთტონიანი ამწე-კოჭი და ა. შ.

ყოველივე ამის შედეგად ქარხნის კოლექტივმა მიმდინარე წლის პირველი კვარტალის გეგმა 107,9 პროცენტით შეასრულა, დაზოგა 2.544 ათასი კილოვატ-საათი ელექტროენერგია, დიდძალი კოქსი და წიდა, პროდუქციის თვითღირებულება შეამცირა 7,2 პროცენტით.

მეტი ლითონისათვის ბრძოლაში კარგი წარმატებები მოიპოვეს ქარხნის ძირითადმა საამქროებმა. № 1 საამქრომ (უფროსი მ. რაზმაძე) პირველი კვარტალის გეგმა 107,6 პროცენტით შეასრულა, № 2 საამქრომ (უფროსი შ. თედოზაშვილი) — 112,6 პროცენტით. ამასთან მათ მნიშვნელოვნად აამაღლეს შრომის ნაყოფიერება, შეამცირეს პროდუქციის თვითღირებულება და გააუმჯობესეს მისი ხარისხი.

ენერგიული შრომით თავი ისახელეს ნ. ბოგვერაძის, შ. დადუნაშვილის, ვ. გელაშვილის, ბ. გამეზარდაშვილის, გ. კაციტაძის, გ. გუმბერიძის მდნობელთა ბრიგადებმა.

ქარხნის კოლექტივმა შესანიშნავი საპირველმაისო საჩუქარი მოუმზადა სამშობლოს — გადაჭარბებით შეასრულა აპრილის საწარმოო დავალება და სახელმწიფოს გეგმის ზევით ათასობით ტონა მაღალხარისხოვანი ლითონი მისცა.

გ. ხუსკივაძე,
„კომუნისტის" საკ. კორესპონდენტი.

მინისმწოვი მანქანების ქარხანაში

წელს ფოთის მიწისმწოვი მანქანების ქარხანამ უნდა გამოუშვას რამდენიმე მილიონი მანეთის პროდუქცია. აქ დამზადებული მიწისმწოვები ასრულებენ დიდ შრომატევად სამუშაოებს ამოშრობისა და მორწყვის სახით. ფოთის მარკის ასობით მიწისმწოვებს გზავნიან მოკავშირე რესპუბლიკებსა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში. ამას წინათ ქარხანამ მიიღო დაკვეთა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისათვის 49 ცხენისძალიანი 3 მიწისმწოვის დასამზადებლად.

ქარხნის კოლექტივი ახალ წარმატებებს აღწევს საპირველმაისო სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებათა განაღდებაში. ქარხანამ პირველი კვარტალის გეგმა 103,3 პროცენტით შეასრულა. შრომის ნაყოფიერება მარშანდელთან შედარებით 7,4 პროცენტით გაიზარდა.

მიწისმწოვების მშენებლებმა გადაწყვიტეს მშრომელთა საერთაშორისო დღესასწაულს უძღვნან ახალი საწარმოო საჩუქრები, გეგმის ზევით გამოუშვან 250 ათასი მანეთის პროდუქცია, გასწიონ ლითონის და ელექტროენერგიის ეკონომია. მათი თავდადებული შრომა პირობის განაღდების საუკეთესო საწინდარია.

შეჯიბრებაში განსაკუთრებით დაწინაურდნენ საქვაბე, მექანიკური და სამჭედლო საამქროები. მოწინავეთა რიგებში არიან აგრეთვე მემონტაჟეთა ბრიგადები. ნაკისრ ვალდებულებს წარმატებით ასრულებენ ელექტროშემდუღებელი მ. ტრინკალი, დურგალი ნ. ღურჯია, მჭედელი ლოლუა და სხვები.

ა. თოფურია,
ფოთის მიწისმწოვი ქარხნის მეკორპუსეთა ბრიგადირი.

ჩაის ფოთლის შერჩევითი კრეფა

გალი. (ტელეფონით. საკ. კორ.). წელს გალელი მეჩაიეები იბრძვიან იმისათვის, რომ მოკრიფონ და სახელმწიფოს ჩააბარონ 10.240 ტონა ჩაის ნედლეული.

გუშინ შეუდგნენ ფოთლის შერჩევით კრეფას. ეს სამუშაო რაიონში პირველმა სოფელ ჭუბურხინჯის ი. ბ. სტალინის სახელობის კოლმეურნეობამ დაიწყო. აქ პირველ დღეს მოკრიფეს და ფაბრიკას ჩააბარეს 350 კილოგრამზე მეტი ჩაის ფოთოლი.

ფოთლის კრეფაში თავი ისახელეს მ. წულაიამ, ლ. ცაცუამ, ც. ქირიამ. თვითეული მათგანი დღეში კრეფს 25-30 კილოგრამ ჩაის ნედლეულს ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 16 კილოგრამისა.

კ. ე. ვოროშილოვი ვარშავიდან გამოემგზავრა

ვარშავა, 26 აპრილი. (საკდესი). დღეს ვარშავიდან სამშობლოში გაემგზავრა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე კ. ე. ვოროშილოვი, რომელიც პოლონეთში მეგობრობის ვიზიტით იმყოფებოდა პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს მოწვევით. კ. ე. ვოროშილოვთან ერთად გაემგზავრნენ აგრეთვე მისი თანმხლები პირები.

200 ათასზე მეტი ვარშაველი გამოვიდა ქუჩებში, რათა გაეცილებინა საბჭოთა სტუმრები. ცოცხალი კორიდორი შეიქმნა მთელ ტრასზე ამხ. კ. ე. ვოროშილოვის რეზიდენციიდან აეროდრომამდე. ხალხი მოვიდა ალმებითა და ტრანსპარანტებით, რომლებზეც წარწერილი იყო სიტყვები: „გაუმარჯოს პოლონეთისა და საბჭოთა კავშირის ხალხების ურღვევ მეგობრობას!", „ცოცხლობდეს და მტკიცდებოდეს სოციალისტური ქვეყნების ერთობა!", „გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას!", „გაუმარჯოს ჩვენს ძვირფას სტუმარს, პოლონელი ხალხის მეგობარს ამხანაგ კლიმენტ ეფრემის-ძე ვოროშილოვს!"

ვარშაველები გულითადად მიესალმებიან კ. ე. ვოროშილოვს, ა. ზავადსკის, რომლებიც ღია მანქანით მიდიან, აგრეთვე სხვა სტუმრებს საბჭოთა კავშირიდან.

აეროდრომზე, რომელიც მორთულია საბჭოთა კავშირისა და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო ალმებით, კ. ე. ვოროშილოვისა და მისი თანმხლები პირების გასაცილებლად მოვიდნენ პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ვ. გომულკა, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ი. ცირანკევიჩი, პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრები, პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნები, სახელმწიფო საბჭოსა და მთავრობის წევრები, მინისტრები, პოლონეთის დედაქალაქის მშრომელთა მრავალი წარმომადგენელი, დიპლომატიური კორპუსის წევრები.

ორკესტრმა შეასრულა საბჭოთა კავშირისა და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო ჰიმნები. ამხანაგებმა კ. ე. ვოროშილოვმა და ა. ზავადსკიმ ჩამოუარეს საპატიო ყარაულის მწყობრს. შემდეგ საბჭოთა სტუმრები გამოეთხოვნენ სახალხო პოლონეთის სახელმწიფო და პარტიულ მოღვაწეებს, საზოგადოებრივობის წარმომადგენლებს. აეროდრომზე ამხ. კ. ე. ვოროშილოვმა სიტყვა წარმოთქვა.

კ. ე. ვოროშილოვი დაბრუნდა პოლონეთის სახალხო რესპუბლიკაში მოგზაურობიდან

26 აპრილს ვნუკოვოს აეროდრომზე დედაქალაქის მშრომელთა მრავალი წარმომადგენელი გულითადად მიესალმა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს კ. ე. ვოროშილოვსა და მის თანმხლებ პირებს, რომლებიც პოლონეთის სახალხო რესპუბლიკაში მოგზაურობიდან დაბრუნდნენ.

შემხვედრთა შორის იყვნენ ამხანაგები ლ. ი. ბრეჟნევი, ნ. გ. იგნატოვი, ა. ი. კირიჩენკო, ფ. რ. კოზლოვი, ო. ვ. კუუსინენი, ნ. ა. მუხიტდინოვი, მ. ა. სუსლოვი, ნ. მ. შვერნიკი, პ. ნ. პოსპელოვი, ა. ნ. კოსიგინი, სსრ კავშირის მინისტრები, ცენტრალურ უწყებათა და დაწესებულებათა ხელმძღვანელები, საბჭოთა კავშირის მარშლები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს პასუხისმგებელი თანამშრომლები.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს კ. ე. ვოროშილოვს შეხვდნენ აგრეთვე დიპლომატიურ წარმომადგენლობათა მეთაურები. რომლებიც აკრედიტებული არიან სსრ კავშირში, საელჩოების თანამშრომლები, საბჭოთა და უცხოელი ჟურნალისტები.

შეკრებილნი მჭუხარე ტაშით მიესალმნენ კ. ე ვოროშილოვსა და მის თანმხლებ პირებს. ბავშვებმა მათ მიართვეს ყვავილების თაიგულები.

კ. ე. ვოროშილოვი და მისი თანმხლები პირები, რომლებსაც შეკრებილნი მხურვალედ მიესალმნენ, გაემართნენ ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალურ სტადიონზე, სადაც გაიმართა მშრომელთა წარმომადგენლების დიდი მიტინგი.

(საკდესი).

მრავალათასიანი მიტინგი ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალურ სტადიონზე

კ. ე. ვოროშილოვისა და მის თანმხლებ პირთა დაბრუნებას მიეძღვნა მრავალათასიანი მიტინგი, რომელიც გაიმართა ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალურ სტადიონზე 26 აპრილის დღის მეორე ნახევარში.

შეკრებილნი მჭუხარე ოვაციით შეხვდნენ პრეზიდიუმში ამხანაგების ა. ბ. არისტოვის, ლ. ი. ბრეჟნევის, კ. ე. ვოროშილოვის, ნ. გ. იგნატოვის, ა. ი. კირიჩენკოს, ფ. რ. კოზლოვის, ნ. ა. მუხიტდინოვის, მ. ა. სუსლოვის, ე. ა. ფურცევას, ნ. მ. შვერნიკის, პ. ნ. პოსპელოვის, ა. ნ. კოსიგინის, საბჭოთა კავშირის მოღვაწეების, რომლებიც კ. ე. ვოროშილოვს ახლდნენ პოლონეთში მოგზაურობისას, სსრ კავშირში პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის ელჩის ტადეუშ გედეს გამოჩენას.

**მიტინგი

საბჭოთა აზერბაიჯანის 38 წლისთავისათვის

ყარადაღი — აზერბაიჯანის მრეწველობის ახალი მძლავრი კერა

„ყარადაღნეფტის“ მე-9 სარეწის გაზის პარკი. აქედან წავა გაზი საქართველოსა და სომხეთში.

გაზის პირველი მძლავრი შადრევანი მიღებულ იქნა 1955 წ. 1 იანვარს ყარადაღის საბადოს № 78 ჭაბურღილში. ეს დღე ყარადაღის გაზსაბადოს არსებობის საწყის თარიღად ითვლება. შადრევანმა № 78 ჭაბურღილში, უდიდესმა წნევამ, რომლის სიმძლავრე 300 ატმოსფეროს აღწევდა, გაზის დიდმა დებიტმა გააოცა ბაქოს გამოცდილი მენავთობეები. შემდეგში აღმოჩნდა, რომ ეს იყო ახალი, ბაქოსათვის დღემდე უცნობი, ტიპის ბუდობი.

ყარადაღის მოედანზე პირველი შადრევანის მიღების შემდეგ სულ 3 წელიწადი გავიდა. ამ ხნის განმავლობაში გაწეულია უდიდესი მუშაობა. ეს ჩანს იქიდან, რომ ყარადაღი დღეისათვის ჩვენს ქვეყანაში მოპოვებული გაზის 14-მდე პროცენტს იძლევა. ყარადაღის საბადოს მაღალმა პროდუქტიულობამ შესაძლებელი გახადა მოკლე ვადაში განგვეთითარებინა გაზის მოპოვების ზრდის ისეთი ტემპები, რომლებმაც უზრუნველყო ბაქოსა და სუმგაითის ყველა ძირითადი სამრეწველო საწარმოს გადაყვანა გაზის სათბობზე. ამან შესაძლებელი გახადა ყოველწლიურად დაგვეზოგნა ასეული ათასობით ტონა გოგირდოვანი მაზუთი, რომელიც ჩვენი ქვეყნის აღმოსავლეთი რაიონებიდან შემოგვქონდა.

ყარადაღში გაზის მოპოვების განვითარებაზე წარმატებით მუშაობამ შექმნა პირობები აზერბაიჯანის მთელი რიგი რაიონების გაზიფიკაციისათვის, აგრეთვე მოძმე რესპუბლიკების — საქართველოსა და სომხეთის დედაქალაქების გაზით უზრუნველყოფისათვის.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებით გათვალისწინებულია ყარადაღ — აქსტაფა — თბილისის და აქსტაფა — ერევნის გაზსადენის მშენებლობა.

გაზს უდიდესი მნიშვნელობა აქვს სახალხო მეურნეობისათვის. გაზი ყველაზე მოხერხებული, იაფი და მაღალკალორიული სათბობია როგორც ყოფაცხოვრებისათვის, ისე მრეწველობისათვის. გარდა ამისა, გაზი განსაკუთრებით ძვირფასი ნედლეულია ქიმიური მრეწველობისათვის. გაზისაგან ხდება სინთეზური სპირტის, კაუჩუკისა და ათობით სხვა სახელწოდების ძვირფასი პროდუქტის გამომუშავება. სწორედ ამით უნდა აიხსნას ის ფაქტი, რომ პარტია და მთავრობა განსაკუთრებით დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ ჩვენს ქვეყანაში გაზის მრეწველობის განვითარებას. ეს კარგად ჩანს ყარადაღის მაგალითით. 3 წელიწადში ყარადაღში შექმნილია გაზმოსაპოვებელი ჩინებული მეურნეობა, რომელიც აღჭურვილია პირველხარისხოვანი სამაბურღო ტექნიკით. ჭაბურღილები აღჭურვილია თანამედროვე მძლავრი მოწყობილობით. ის ჭაბურღილები, რომლებიც შადრევნებს იძლევა, უზრუნველყოფილია მძლავრი მოწყობილობით.

მოკლე ვადაში აღიზარდნენ მბურღავთა, გაზმომპოვებელთა, გეოლოგთა შესანიშნავი კადრები. მათ უდიდესი გამოცდილება შეიძინეს და არსებითად გაამდიდრეს ჩვენი მეცნიერება ნავთობის მოპოვება-დამუშავების დარგში გაზსაბადოთა ათვისების ახალი პრაქტიკით. ახლა ბურღვის ოსტატების სეიფულა ხალიკის, არმენაკ გრიგორიანის, იამარ გაჯიევის, იარმეტ იარალიევის, ინჟინრების ფაიკ სელიმხანოვის, ნიკოლოზ სემენის, ნავთობის მოპოვების ოსტატების ნოვრუზ ბაბაევის, ტარიელრდი აბასოვის, ოპერატორების კონსტანტინე დიომინისა და სხვების სახელები ცნობილია რესპუბლიკის ფარგლებს გარეთაც.

ყარადაღის რაიონის მენავთობეებს კარგად აქვთ შეგნებული მათთვის დაკისრებული ამოცანების მნიშვნელობა და ამჟამად დაძაბულ მუშაობას ეწევიან ყარადაღის საბადოს სრული შესწავლისათვის. ყარადაღში ძიება გრძელდება. ამ კოლოსალური საბადოს რესურსები ჯერ კიდევ არ არის სრულად გამოვლენილი. შარშან ზღვის პირას მდებარე № 105 საძიებო ჭაბურღილმა, რომელიც ბურღვის ოსტატის სეიფულა ხალიკის ბრიგადამ გაბურღა, განსაკუთრებით მძლავრი შადრევანი მოგვცა. ამ ჭაბურღილში გაზის სადღეღამისო დებიტი ერთ მილიონ კუბმეტრს აღწევდა, ამ ჭაბურღილის შადრევანმა ცხადყო, რომ ყარადაღის საბადოს ყველაზე პროდუქტიული ნაწილი ზღვისკენ ვრცელდება. ამიტომ ზღვაში შენდება და იბურღება მთელი რიგი საძიებო ჭაბურღილები. მაგალითად, ზღვის ნაპირიდან ერთ კილომეტრ მანძილზე ინდივიდუალური ფუძიდან იბურღება საძიებო ჭაბურღილი № 204, რაც დასასრულს უახლოვდება და მისი შედეგები დიდ ინტერესს წარმოადგენს.

1958 წელს ყარადაღის ფართობზე უნდა დამთავრდეს 10-ზე მეტი საძიებო და საექსპლოატაციო ჭაბურღილის გაბურღვა.

ყარადაღის გაზის საბადოს აღმოჩენით გაზის მოპოვების გადიდების დიდი პერსპექტივები დაისახა. ამ საბადოს აღმოჩენით წინასწარ განსაზღვრულია პერსპექტიულობა ყარადაღის მომიჯნავე მთელი რიგი ფართობებისა, რომლების გეოლოგიური აღნაგობა ანალოგიურია. ამ ფართობებს ეკუთვნის: ქიანიზადაღი, უთალგი, მიაგჩიკი და სხვ. ყველა ამ ნაკვეთზე ამჟამად გაჩაღებულია საძიებო სამუშაოები.

გვინდა გამოვთქვათ რწმენა, რაც ემყარება გარკვეულ გეოლოგიურ მასალას, რომ მომძლავრესპუბლიკების — საქართველოსა და სომხეთის ტერიტორიაზე უახლოეს მომავალში აღმოჩნდება გაზის მძლავრი საბადოები. ამისათვის მტკიცედ უნდა განვაგრძოთ ნავთობისა და გაზის საძიებო სამუშაოები.

მ. ბაბაევი,
„ყარადაღნავთობის“ ნავთობსარეწი სამმართველოს უფროსი,

ა. დურმიშიანი,
„ყარადაღნავთობის“ ნავთობსარეწი სამმართველოს მთავარი გეოლოგი.

აზერბაიჯანის სსრ. ძველი იცვალა სახე აფშერონის ნახევარკუნძულმა საბჭოთა ხელისუფლების წლებში. გაჩნდა ნავთობის ახალი სარეწები, შეიქმნა საბჭოთა მეურნეობები, საბოსტნო-სამეურნეო არტელები, აშენდა მუშათა დაბები. ათობით კილომეტრზეა გადაჭიმული ელექტროკინიგზა, რომელიც ერთმანეთთან აკავშირებს აფშერონის ყველა რაიონს.

სურათზე: ელექტროკინიგზის მატარებელი „ლენინნეფტის“ ნავთობსარეწზე.

ფოტო ფ. შევცოვისა. (საკავშირო ფოტოქრონიკა).

სასიხარულო შედეგები

რეპორტაჟი

ჯერ მზე არ ამოსულა, ბოლნისის საკოლმეურნეო მინდვრებზე კი უკვე შრომაა გაჩაღებული. კოლმეურნეთა და კოლმეურნე მექანიზატორთა მხიარული შეძახილები, ტრაქტორების გუგუნი ასმიანებს არემარეს...

პარტიის რაიონულ კომიტეტში და რაისაბჭოს აღმასკომში დღისით ვერ ნახავთ პასუხისმგებელ მუშაკებს. ეს ბუნებრივიც არის. რაიონის მშრომელები ერთსულოვნად დაირაზმნენ იმისათვის, რომ შეუფერხებლად გამოიყენონ მტვერებისაგან შესაყიდული მძლავრი ტექნიკა, ამრავლონ საკოლმეურნეო ხვავი და ბარაქა.

გაზაფხულის თბილმა მზიანმა დღეებმა ხელსაყრელი პირობები შექმნა ხვნა-თესვისათვის. ისარგებლეს რა ამით, დაბა ბოლნისის ი. ბ. სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრები მინდვრად გავიდნენ. თესავენ საგაზაფხულო კულტურებს.

კოლმეურნე მექანიზატორები ახლა უფრო მეტი პასუხისმგებლობით ამუშავებენ მანქანებს. მინდვრად მომუშავე ტრაქტორთან მისვლამდე, კოლმეურნეობის თავმჯდომარეს ა. ხიდაშელს შეეხვდით. მასთან იყო აგრონომი შ. კუჭავა. თავმჯდომარემ ღიმილით გადახედა აგრონომს. შარშანდელი გაზაფხულის დღეები გაახსენდა. მაშინაც თესავდნენ საგაზაფხულო კულტურებს, მაგრამ მინდორში იშვიათად ნახავდით აგრონომს, ბრიგადირს, კოლმეურნეებს. მთელი მუშაობა მინდობილი ჰქონდა ტრაქტორისტს.

ახლა ასე როდია. მინდვრის სამუშაოს ხარისხით კოლმეურნეები და მექანიზატორები ერთნაირად არიან დაინტერესებულნი. შემჩნეულ ნაკლოვანებებს ადგილზევე ასწორებენ.

ტრაქტორის საჭესთან ზის კოლმეურნე ტრაქტორისტი ო. გიორგბელიძე. მანქანაზე მუშაობენ მთესველები: კ. ჩუმაშვილი და ა. გაბიძაშვილი. ისინი რაიონში პირველნი გასულან სიმინდისა და სოიის თესვაზე.

თესვის დღიური ნორმას როგორ ასრულებთ? — შეეკითხეთ ტრაქტორისტ ო. გიორგბელიძეს.

— მარტო გეგმის შესრულება როდი კმარა, ეს ხომ სავალდებულოც არის, — გვითხრა [illegible] ყოველდღიურად [illegible] სიმინდის თესვის გეგმას ორმაგად-სამმაგად ასრულებს. კოლმეურნეები თვალყურს ადევნებენ სახელოვანი ტრაქტორისტს მამაცურ შრომას. ეი ტრაქტორს მართავენ კოლმეურნე მექანიზატორები ნ. მამედოვი, ნ. ჯანაძე. კოლმეურნეობამ ეს ტრაქტორები ამას წინათ შეიძინა ბოლნისის მტს-ისაგან. საგაზაფხულო კულტურებს სწრაფად და ხარისხიანად თესავენ. ახლა კოლმეურნეებს გაფრთხილება არ სჭირდებათ. მანქანისათვის საწვავი, სათადარიგო ნაწილები წინასწარ მომარაგებული აქვთ.

აქვე მინდორში ნახავთ მთავარ ინჟინერს პ. დოლიძეს და მტს-ის დირექტორს ა. გრიგოლიას, ისინი პრაქტიკულად ეხმარებიან კოლმეურნე მექანიზატორებს, ასწავლიან, თუ როგორ უნდა იმუშაოს მანქანამ გამართულად.

— ახეა ყოველდღე, — განაცხადა კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ა. ხიდაშელმა, — შრომის ფერხულშია ჩაბმული მთელი სოფელი. სიღნაღელთა მოწოდების პასუხად ჩავებით სოციალისტურ შეჯიბრებაში და პირობა დავდეთ შეძენილი ტრაქტორი და სხვა სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანების მოვლა-პატრონობას. კოლმეურნეთა ნაწილი მძლავრი ტექნიკის შესანახად ამზადებს ნედლ მასალას უმოკლეს დროში ფარდულის ასაშენებლად.

უხვი მოსავლისათვის მეგრძოლთა რიგებში ვხედავთ სოფელ აკურთის ლენინის სახელობის, სოფელ ბოლნისის პარიზის კომუნის სახელობის, სარაჩლოს, ფახრალოს, მუსოფრიანის და სხვა კოლმეურნეობათა წევრებს. ისინი ბევრ რამეს აკეთებენ შეძენილი მძლავრი ტექნიკის სრული დატვირთვით გამოყენებისათვის.

—ასეთ მშვენიერ დღეებში, — ეანაცხადეს მოხუცმა კოლმეურნეებმა, — გული შინ არ გვიდგება, რამდენადაც შეგვიძლია, ვმუშაობთ, ენერგიას არ ვზოგავთ. ჩვენს დიდ ილიას უთქვამს, გლეხკაცი საქმის კაცია და მოცდენა ძვირად ულირსო.

რაიონის მხვნელ-მთესველები მტს-დან შესაყიდული 84 ტრაქტორით გეგმის ზევით თესავენ სიმინდს, სოიას. მათი გადაწყვეტილებაა მშრომელთა საერთაშორისო სოლიდარობის დღეს — პირველ მაისს შეხვდნენ ახალი წარმატებებით.

შ. ჯოჯუა,
„კომუნისტის“ სპეც. კორესპონდენტი.



სურათზე: (მარცხნიდან მარჯვნივ) კოლმეურნეობის თავმჯდომარე ა. ხიდაშელი და აგრონომი შ. კუჭავა ამოწმებენ სიმინდის თესლის ხარისხიანობას, ხოლო ბრიგადირი ნ. გურგენიძე თესლს ყრის სათეს მანქანაზე.

თბილისის საწარმოთა კოლექტივების და მშენებლების დიდი ამოცანები

თბილისის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრება

ახლოვდება ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქის — თბილისის 1500 წლისთავი, ჩაღდება საწარმოთა კოლექტივების სოციალისტური შეჯიბრება ამ თარიღის აღსანიშნავად უკეთესი საწარმოო მაჩვენებლების მოპოვებისათვის, ამავე დროს გრძელდება თბილისის მშრომელთა სოციალისტური შეჯიბრება მოძმე ლატვიის დედაქალაქის — რიგის მშრომელებთან, ძლიერდება მასების ბრძოლის ტემპი პარტიის XX ისტორიული ყრილობის მიერ დასახული დიადი ამოცანების შესასრულებლად.

როგორ შედეგებს აღწევენ ამ ბრძოლაში ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქის სამრეწველო, სატრანსპორტო და კომუნალურ საწარმოთა კოლექტივები და მშენებლები, მათ შორის ბინათმშენებლები, როგორ იმუშავეს მათ 1957 წელს, მიმდინარე წლის პირველ კვარტალში და რა მორიგი ამოცანები დგას მათ წინაშე, რას უნდა მიექცეს მთავარი ყურადღება ამჟამად.

ეს საკითხი განიხილა 23 აპრილს საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მიერ მოწვეულმა პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებამ.

კრება გახსნა საქართველოს კპ თბილისის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივანმა ნ. ჭახრაკიამ.

მომხსენებელმა, საქართველოს კპ თბილისის საქალაქო კომიტეტის მდივანმა ამხ. ს. ჩხარტიშვილმა განაცხადა, რომ თბილისის საწარმოთა კოლექტივებმა, მშენებლებმა და მთელმა მშრომელმა მოსახლეობამ 1957 წელი აღნიშნეს ახალი მნიშვნელოვანი წარმატებებით პარტიის XX ყრილობის მიერ დასახული ამოცანების განხორციელებისათვის ბრძოლაში.

მართლაც, თბილისის სამრეწველო, სატრანსპორტო, კომუნალურ საწარმოთა, მშენებლობათა და კულტურულ-საგანმანათლებლო ორგანიზაციათა კოლექტივებმა გასული წლის საწარმოო დავალებები ვადაზე ადრე — 13 დეკემბრისათვის გაანაღდეს, წლიური გეგმა 110 პროცენტით, ხოლო შრომის ნაყოფიერების ზრდის გეგმა 104 პროცენტით შეასრულეს, გეგმის გადამეტებით 507 მილიონი მანეთის პროდუქცია გამოუშვეს და 100.700 კვადრატული მეტრი ფართობის შემცველი საცხოვრებელი სახლები გადასცეს საექსპლოატაციოდ.

თბილისის სამრეწველო საწარმოებში შარშან ათვისებულ იქნა ახალი, გაუმჯობესებული კონსტრუქციის სახარატო და ხრახნსაჭრელი, მაღალი სიზუსტით მომუშავე ჩარხები.

წელს პირველ კვარტალში კიდევ უკეთესი შედეგებია მოპოვებული.

უკეთესად იწყეს მუშაობა, მაგალითად, თბილისის აბრეშუმსაქსოი ფაბრიკის, კიროვის სახელობის ჩარხმშენებელი ქარხნის, საინსტრუმენტო ქარხნის და მთელი რიგი სხვა საწარმოების კოლექტივებმა.

მაგრამ თბილისის საწარმოთა წყებაში არიან ჩამორჩენილი კოლექტივებიც, რომლებმაც იანვარსა, თებერვალსა და მარტში დაგვაკლეს 1 მილიონამდე მანეთის პროდუქცია. ზოგ საწარმოში, მართალია, გასულ წელთან შედარებით გაუმჯობესეს მუშაობა, მაგრამ ჯერ კიდევ ბევრია ნაკლი. საწარმოთა სპეციალიზაცია და კოოპერირება ვერ ხორციელდება ჯეროვანი წარმატებით. მაგალითად, ფოლადთუჯსამსხმელო ქარხანაში კვლავ მაღალია ლითონსხმულის წუნი, რამაც იანვარსა, თებერვალსა და მარტში 350 ტონა შეადგინა. სხვა საწარმოების ხაზითაც ხშირია პროდუქციის ხარისხის გაუარესების შემთხვევები, რის გამო ეაპრობის სახელმწიფო ინსპექცია იძულებული შეიქნა თბილისის 12 სხვადასხვა საწარმოსათვის აეკრძალა პროდუქციის გამოტანა სავაჭრო ქსელში.

ვერ მიაღწიეს ძირეულ გარდატეხას თავიანთ მუშაობაში თბილისელმა მშენებლებმაც. სამრეწველო მშენებლობის ფართოდ გაჩაღებასთან ერთად წელს თბილისში 100.000 კვადრატული მეტრით მეტი საცხოვრებელი ფართობი უნდა აშენდეს, ვიდრე 1957 წელს აშენდა. მაგრამ მშენებლობის ასე ფართო მასშტაბით წარმოებას აფერხებს ის, რომ ინდუსტრიული საწარმოო ბაზების სიმძლავრე არ შეესაბამება მშენებლობის მასშტაბს, ახალი ბაზების მოწყობა ნელი ტემპით წარმოებს.

მოხსენების გამო კამათში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს კპ თბილისის ორგანიზაციის სტალინის რაიკომის პირველმა მდივანმა ამხ. გ. გოშაძემ, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა, თბილისის ი. ბ. სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის ხარატმა ამხ. ა. მარგველაშვილმა, სარეწაო კოოპერაციის საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ამხ. გ. ჟორჟიკაშვილმა, თბილისის კიროვის სახელობის ჩარხმშენებელი ქარხნის პარტორგანიზაციის მდივანმა ამხ. ლ. გოგიჩაძემ, თბილისის საბჭოს ადგილობრივი მრეწველობის სამმართველოს უფროსმა ამხ. პ. ღვალაძემ, საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს მანქანათმშენებელი და ელექტროტექნიკური მრეწველობის სამმართველოს უფროსმა ამხ. ვ. დადაკორიამ, მთავართბილისშენის მმართველმა ამხ. გ. ქართველიშვილმა, აბრეშუმსაქსოი ფაბრიკის დირექტორმა ამხ. ნ. ჟვანიამ, საქართველოს ჰიდროენერგომშენის ტრესტის სამშენებლო მექანიზმების შემკეთებელი ქარხნის დირექტორმა ამხ. ი. არაქელოვმა და სხვებმა.

აქტივის კრებამ მიიღო რეზოლუცია და დასახა ტექნიკურ-ორგანიზაციული ღონისძიებები მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის.

ა ქ ი ყ ო ლ ე ნ ი ნ ი...

„...გუდამაყრის ხეობას თითქოს განგებ გაუპია კავკასიონის მთების უმთავრესი ძარღვი და ვიწრო ხეობად შიგ შეეჭედილა. ეს ხეობა ავდარსა და ნიაღვარს დაუხრამავს, მაღლიდან ჩამონადენს ქვასა და ღორღსა უშველებელის ლოდებით გაუვსია და მეტისმეტად ძნელს გასავლელად შეუქნია“.

ასე აღწერა ალექსანდრე ყაზბეგმა საქართველოს ეს პატარა და თავისებურად ლამაზი კუთხე, რომელსაც სამართლიანად უწოდებენ მეცხვარეთა მხარეს, ზვავებისა და ღრუბლების სამეფოს.

სამოცდაათ წელიწადზე მეტი გავიდა ამ სტრიქონების დაწერიდან, ვინ უწყის რამდენმა ჭექა-ქუხილმა გადაიარა კავკასიონის მთებზე, მაგრამ გუდამაყრის ბუნება დიდად არ შეცვლილა. ისევე როგორც ძველათ, ზამთრობით აქ კვლავ გრიალებენ ზვავები, ხოლო ზაფხულობით ადამიანის გულს ახარებს ჭრელი ყვავილები და მთების სიმწვანე. მხოლოდ ეგ არის, გუდამაყარი ახლა ძნელად გასავლელი როდია. კარგა ხანია, რაც მთიულებმა უზარმაზარი კლდეები ააფეთქეს და ხეობის მთელ სიგრძეზე საავტომობილო გზა გაიყვანეს.

გუდამაყარში გაზაფხულის სურნელება ტრიალებს. მთებს საწნახელივით მოუშორებიათ თეთრი ნაბდები და ეტყობა მალე მწვანე ქათიბით დაიმშვენებენ მკერდს. მაშინ უნდა ნახოთ როგორ მოირთვება აქაურობა. რა საამო და გულისდამატკბობელი სურათები გადაიშლება ბურსაჭირის ფერდობზე თუ კიშხევას მთებზე, ფხიტურის უღელტეხილსა თუ ჭიუხის მწვერვალზე.

ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი განახლებული და სახეშეცვლილი კუთხეა გუდამაყარი. იგი მდებარეობს დედაქალაქიდან შორს, მრავალი მთისა და მდინარის გადაღმა, მაგრამ აქაც დუღს სისხლსავსე და შინაარსიანი ცხოვრება. ახალი სახლები, კლუბებისა და სამკითხველოების ახალი შენობები, საკოლმეურნეო ნაგებობები ამშვენებენ აქაურობას.

ყველაზე შთამაგონებელი, ყველაზე ძვირფასი და საყვარელი ადამიანის — ვლადიმერ ილიასძე ლენინის სახელი შეარქვეს გუდამაყრელებმა თავიანთ კოლმეურნეობას. ისინი დიდად ამაყობენ ამით და ცდილობენ ვაჟკაცური შრომით გაამართლონ ლენინელის მაღალი წოდება.

არა, ვლადიმერ ილიას-ძე საქართველოში არასოდეს არ ყოფილა, არც გუდამაყრის მთები უნახავს, მაგრამ უბრალო ადამიანები ლენინის უკვდავი იდეების ცოცხალ განსახიერებას ხედავენ კავკასიონის უბე-კალთებშიც, ჩვენი გრანდიოზული შრომისა და წინსვლის გაქანებაში.

ყველამ იცის: ლენინის დიადი საქმის გამარჯვება რომ არა, გუდამაყარი ახლაც ისეთივე ღატაკი, ყრუ და ყველასაგან დავიწყებული კუთხე იქნებოდა, როგორიც რევოლუციამდე იყო.

...მთებში მოგზაურობისას მიყვარს ღრმა მოხუცებთან შეხვედრა და მათთან საუბარი. ხშირად ერთსა და იმავეს ვეკითხები მათ:

— აი, თქვენ ამდენი ხანი გიცოცხლიათ, — მითხარით, ყველაზე საინტერესო და საგულისხმო რა გამოსცადეთ, რა ნახეთ ქვეყანაზე?

უკიდურესად მოულოდნელი პასუხი მესმოდა ხოლმე. ერთმა დედაბერმა, მაგალითად, თქვა:

— მახსოვს ოდესღაც ყურძენი ვჭამე!

ეს ყველასათვის გასაგები როდი იქნება. კარგად უნდა იცოდეთ მთიელთა საშინელი სიღატაკე წარსულში, მათი უბადრუკი ცხოვრება და აქაური მკაცრი ბუნება, სწორად რომ შეაფასოთ დედაბრის პასუხი. თავისი აულის საზღვრებს არასოდეს რომ არ გასცილებია, რომელიღაც მდიდრის ქორწილში ნახული ყურძენი, ცხადია, მთელ სიცოცხლეში დაამახსოვრდა. როგორც რაღაც ედემური, არაჩვეულებრივი საკვირველება, — წერდა ცნობილი დაღისტნელი მწერალი ეფენდი კაპიევი.

აი, რა ბეჩავი, რა დაჩაგრული იყო ძველათ მთიელი ხალხი.

— ბუჩუკურთელებს არა უჭირთ რა, ტიტველ ტანზე ჩოხები მაინც ეცვათ, ჩირდილელები კი ნამდვილ მათხოვრებს ჰგვანდნენ, ტყაპუჭები ისე იყო დაფლეთილი, რომ ძლივსძლივობით ჰფარავდა შიშველ ტანსა, — ჩიოდა ვაჟა-ფშაველა.

ასე იყო ფშავში, ხევსურეთში, გუდამაყარში, კავკასიონის მთების ყველა კუთხეში.

გუდამაყრის ვ. ი. ლენინის სახელობის კოლმეურნეობას ახლა თორმეტ ათასზე მეტი ცხვარი და ათას სულზე მეტი მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი ჰყავს, ამ გაზაფხულზე ფერმას 6.200 ბატკანი შეემატა.

შეძლებულად და კულტურულად ცხოვრობენ მთიელები. გუდამაყარში არის ორი შვიდწლიანი სკოლა, საექიმო პუნქტი, კლუბი, სამკითხველოები, ზოოვეტერინარული უბანი, მეცხვარეთა სახლებში ილიჩის ნათურები კაშკაშებენ.

ლენინის საქმისათვის, ჩვენი სამშობლოს წინსვლისათვის სასახელო შრომას ეწევიან გუდამაყრელი მწყემსები ივანე და ვასილ ჩოხელები, საბა ბექაური და ადამ წიკლაური, კაცა წიკლაური, გიორგი წიკლაური...

როგორც უდაბნოში მყოფი დაეწაფება წყაროს ანკარა წყალს, ასევე ხარბად დაეწაფნენ მთიელები სწავლა-განათლებას.

ორი წლის წინათ აახბეგის რაიონის სოფელ სნოში ვიყავით, იგი გუდამაყრიდან არც ისე შორს, ბურსაჭირის ფერდობს გადაღმა მდებარეობს.

საბჭოთა ხელისუფლების არსებობის მანძილზე; ახლა მთიელ კაცს ვერაფრით გააკვირვებ. ახალი ცხოვრების დამკვიდრების ნიშნად კაშკაშებენ ელექტრობის ჩირაღდნები მთაში და ბარში.

ხომ ლამაზი და მომხიბლავია საქართველოს სამხედრო გზა ფიროსმანიშვილმა, რომელიც მაშინ საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე იყო, საანგარიშო მოიმარჯვა:

— ჯოჯიკაანთ ქალ-ვაჟი. ერთი ინჟინერია, მეორე ექიმი...

— პაპიაშვილები, — ღაურთო კობამ.

— ღუდუშაურები...

— ხეთაგურები...

— ფირანიშვილები...

— გათხოვილებიც მიეათვალო?

— იკითხა ვასილმა.

— მაშ როგორა!

— ისინიცა, ვინც ახლა თბილისში ან სხვა რაიონშია?

თვალეს და საბოლოოდ მაინც ვერ დათვალეს. ბევრი კაცი და ქალი ახსენეს და მერე სათვალავი აერიათ, ბოლოს ერთმა ხუმრობით თქვა, საკითხის შესწავლა საბჭოს აღმასკომს დაევალოსო.

ჭეშმარიტად გასაოცარი ცვლილებები მოხდა კავკასიონის მთებში საბჭოთა ხელისუფლების არსებობის მანძილზე; ახლა მთიელ კაცს ვერაფრით გააკვირვებ. ახალი ცხოვრების დამკვიდრების ნიშნად კაშკაშებენ ელექტრობის ჩირაღდნები მთაში და ბარში.

ხომ ლამაზი და მომხიბლავია საქართველოს სამხედრო გზა

ვასილ ფირნიშვილმა, რომელიც მაშინ საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე იყო, საანგარიშო მოიმარჯვა:

— ჯოჯიკაანთ ქალ-ვაჟი. ერთი ინჟინერია, მეორე ექიმი...

— პაპიაშვილები, — ღაურთო კობამ.

— ღუდუშაურები...

— ხეთაგურები...

— ფირანიშვილები...

— გათხოვილებიც მიეათვალო?

— იკითხა ვასილმა.

— მაშ როგორა!

— ისინიცა, ვინც ახლა თბილისში ან სხვა რაიონშია?

თვალეს და საბოლოოდ მაინც ვერ დათვალეს. ბევრი კაცი და ქალი ახსენეს და მერე სათვალავი აერიათ, ბოლოს ერთმა ხუმრობით თქვა, საკითხის შესწავლა საბჭოს აღმასკომს დაევალოსო.

ჭეშმარიტად გასაოცარი ცვლილებები მოხდა კავკასიონის მთებში საბჭოთა ხელისუფლების არსებობის მანძილზე; ახლა მთიელ კაცს ვერაფრით გააკვირვებ. ახალი ცხოვრების დამკვიდრების ნიშნად კაშკაშებენ ელექტრობის ჩირაღდნები მთაში და ბარში.

ხომ ლამაზი და მომხიბლავია საქართველოს სამხედრო გზა

ვინ კავკასიონის უბე-კალთებშიც, ჩვენი გრანდიოზული შრომისა და წინსვლის გაქანებაში.

ყველამ იცის: ლენინის დიადი საქმის გამარჯვება რომ არა, გუდამაყარი ახლაც ისეთივე ღატაკი, ყრუ და ყველასაგან დავიწყებული კუთხე იქნებოდა, როგორიც რევოლუციამდე იყო.

...მთებში მოგზაურობისას მიყვარს ღრმა მოხუცებთან შეხვედრა და მათთან საუბარი. ხშირად ერთსა და იმავეს ვეკითხები მათ:

— აი, თქვენ ამდენი ხანი გიცოცხლიათ, — მითხარით, ყველაზე საინტერესო და საგულისხმო რა გამოსცადეთ, რა ნახეთ ქვეყანაზე?

უკიდურესად მოულოდნელი პასუხი მესმოდა ხოლმე. ერთმა დედაბერმა, მაგალითად, თქვა:

— მახსოვს ოდესღაც ყურძენი ვჭამე!

ეს ყველასათვის გასაგები როდი იქნება. კარგად უნდა იცოდეთ მთიელთა საშინელი სიღატაკე წარსულში, მათი უბადრუკი ცხოვრება და აქაური მკაცრი ბუნება, სწორად რომ შეაფასოთ დედაბრის პასუხი. თავისი აულის საზღვრებს არასოდეს რომ არ გასცილებია, რომელიღაც მდიდრის ქორწილში ნახული ყურძენი, ცხადია, მთელ სიცოცხლეში დაამახსოვრდა. როგორც რაღაც ედემური, არაჩვეულებრივი საკვირველება, — წერდა ცნობილი დაღისტნელი მწერალი ეფენდი კაპიევი.

ეს ბუნებრივი [illegible] ... ბუჩუკურთელებს [illegible] ... ტიტველ ტანზე ... ჩოხები [illegible] ... ჩირდილელები [illegible] ... ნამდვილ მათხოვრებს ... ტყაპუჭები ... ფლეთილი, [illegible] ... ჰფარავდა შიშველ ... — ჩიოდა ... ასე იყო ... ხევსურეთში, [illegible] ... ბურსაჭირის ... [illegible] ... ბაბაევი, [illegible] ... ბაბაევი, [illegible] ... ბაბაევი,

სანიმუშოდ ჩავატაროთ საკურორტო სეზონი

წლითიწლობით უმჯობესდება დამსვენებელთა მომსახურება აჭარის კურორტებზე, ფართოვდება და მტკიცდება მატერიალური ბაზა. გასულ წელს აჭარის საკურორტო სამმართველოს ხაზით კაპიტალური მშენებლობის, რეკონსტრუქციისა და შეკეთების სამუშაოების შესრულებაზე, კეთილმოწყობასა და ბაღ-პარკების ბოვლაზე ხუთ მილიონამდე მანეთი დაიხარჯა. დიდი თანხები დაიხარჯება ამ სამუშაოებზე წელს.

დიდი სამუშაოები შესრულდა გასულ წელს კურორტებზე ციხისძირსა და მახინჯაურში: დაიგო 2 ასფალტი, კეთილმოწყობილ იქნა ზღვისპირის ტერიტორია და სხვ.

წლების მანძილზე ჯეროვანი ყურადღება არ ექცეოდა შავი ზღვის სანაპიროს შესანშნავ კურორტ ქობულეთს. გასულ წელს დაიწყო ლენინისა და გორკის ქუჩების კეთილმოწყობა. წყალსადენის მშენებლობა, შენდება სამედიცინო ბანაკი და სხვ. მაგრამ ეს მხოლოდ დასაწყისია. კვლავ გადაჭრას მოელის ისეთი საკითხები, როგორიც არის კანალიზაციის მშენებლობის დაწყება. წყალსადენის მშენებლობის დამთავრება. კურორტის ელექტროენერგიით უზრუნველყოფა, ტელეფონიზაციის მოგვარება, ქუჩების მოასფალტება.

აჭარის კურორტების პლაჟებზე დღემდე არ იყო შექმნილი ნორმალური პირობები. რის გამო განსაკუთრებით სიცხეების დროს, ავადმყოფები და დამსვენებლები ვერ სარგებლობდნენ ზღვის საუკეთესო ჰავით. ამ მდგომარეობის გამოსასწორებლად კეთდება და ყველა დასასვენებელ სახლსა და სანატორიუმს ექნება თავისი აეროსოლარიუმი, დაიდგმება მზისაგან დასაცავი 200 ქოლგა. პლაჟების კეთილმოწყობას შემდგომშიც სერიოზული ყურადღება უნდა მიექცეს.

აჭარა მდიდარია მინერალური სამკურნალო წყლებით, რომელთა რიცხვი 70-ზე მეტია. მათ შორის აღსანიშნავია მახინჯაურის გოგირდოვანი წყლები, აგრეთვე დანისპარაული, ხიხაძირის, შუახევის, ტომაშეთის, შუბანის, კოკოტაურის ნამონასტრევის, ჩაქვის, ხალის, შუაღელის, ჩუცუტნის და მთელი რიგი სხვა მინერალური წყლები. მეცნიერული შესწავლა მოწმობს, რომ აღნიშნული წყლები შეიძლება გამოყენებულ იქნას სამკურნალოდ. საჭიროა ჯანმრთელობის დაცვის ადგილობრივმა ორგანოებმა, აგრეთვე რაიონული საბჭოების აღმასკომებმა მიიღონ ზომები აღნიშნული წყლების დინების ადგილების კეთილმოწყობისათვის.

ამას წინათ ქ. თბილისში მოწყობილ საქართველოს კურორტების მუშაკთა აქტივის კრებაზე გაკრიტიკებულ იქნა აჭარის კურორტების მუშაობა. კერძოდ აღინიშნა, რომ გასულ წელს სანატორიუმებში „ჟოროხსა“ და „აჭარაში“ ავადმყოფთა მკურნალობის საქმე ვერ იდგა სათანადო დონეზე; ზოგ შემთხვევაში ავადმყოფებს შეუსწავლელად უნიშნავდნენ მკურნალობის სხვადასხვა პროცედურას, ზოგჯერ დანიშნული პროცედურები არ სრულდებოდა ან არაეფექტიანად ეწყობოდა კიდევ უფრო ცუდი მდგომარეობა იყო ავადმყოფთა მკურნალობის საქმეში ციხისძირის დედათა და ბავშვთა სანატორიუმში. აქვე გაიმართა რენტგენის კაბინეტი და სხვ.

სანატორიუმ „აჭარის“ მეორე კორპუსიდან მწვანე კონცხის ცენტრამდე სანატორიული ავადმყოფებისათვის შენდება საჰაერო-საბაგირო გზა, რომელიც დამთავრდება მიმდინარე წლის მაისში. ეს დიდად გააადვილებს ავადმყოფთა მგზავრობას საზღვაო პლაჟზე.

სულ ორიოდე წლის ისტორია აქვს აჭარის მთიან კურორტ „ცისკარას“, მაგრამ მან უკვე დიდი პოპულარობა მოიხვეჭა მშრომელებში და განსაკუთრებით ქალაქ ბათუმის მცხოვრებთა შორის. „აჭარკურორტკავშირობამ“ და ბათუმის რაიონული კოოპერატივის გამგეობამ აქედანვე უნდა მიიღონ ზომები კურორტ „ცისკარაზე“ სავაგზაო-ბისა და სასადილოების გასახსნელად. კურორტი „ცისკარა“ ბათუმის მცხოვრებთათვის ხელმისაწვდომ ადგილად უნდა გადავაქციოთ.

საკურორტო ობიექტების პროექტებით მომარაგების საქმეში გასული წლის ნაკლოვანებები რომ არ გამეორდეს, დიდი მუშაობა დასჭირდება „აჭარკურორტკავშრობას“, რომელიც შარშან სუსტად აკმაყოფილებდა დამსვენებელთა მოთხოვნილებებს.

აჭარის კურორტების მუშაკთა ღირსების საქმეა სანიმუშოდ ჩაატარონ მიმდინარე საკურორტო სეზონი.

ა. ბერიძე,
აჭარის ტერიტორიული საკურორტო სამმართველოს უფროსი.

* * *



სურათზე: კურორტი ციხისძირი, დასასვენებელი სახლი „მეცნიერება“.

ა. ი. მიქოიანი გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში ჩავიდა

მაინის ფრანკფურტი, 25 აპრილი. (საკდესი). დღეს „ტუ-104“ თვითმფრინავით გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში ჩამოვიდა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ა. ი. მიქოიანი გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკასა და სსრ კავშირს შორის სავაჭრო-ეკონომიურ საკითხებზე შეთანხმებათა და საკონსულო ხელშეკრულების ხელმოსაწერად. ამბ. ა. ი. მიქოიანს ახლავან სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ვ. ს. სემიონოვი, სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის მინისტრის მოადგილე პ. ნ. კუმიკინი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს ევროპის მე-3 განყოფილების გამგე ი. ი. ილიჩოვი და სხვა ოფიციალური პირები. თვითმფრინავი, რომლითაც ჩამოვიდა ამბ. ა. ი. მიქოიანი თანმხლებ პირებთან ერთად, დაეშვა ფრანკფურტის აეროდრომზე.

საბჭოთა სტუმრების ჩამოსვლის შემდეგ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა ბრენტანომ და ა. ი. მიქოიანმა სიტყვებით მიმართეს ერთმანეთს.

შემდეგ საბჭოთა სტუმრები და შემხვედრნი ავტომანქანებით გაემართნენ ფრანკფურტის საგარეუბნო რკინიგზის სადგურ სპორტფელდისაკენ, სადაც საბჭოთა სტუმრებს ელოდა სპეციალური მატარებელი, რომელმაც ისინი ბონში ჩაიყვანა.

* * *

ბონი, 25 აპრილი. (საკდესი). დღეს მაინის ფრანკფურტიდან ბონში სპეციალური მატარებლით ჩამოვიდნენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ა. ი. მიქოიანი და მისი თანმხლები პირები. ა. ი. მიქოიანს მატარებელში ახლდნენ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი ბრენტანო და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის სხვა ოფიციალური წარმომადგენლები.

საბჭოთა სტუმრებს ბონის ვაგზლის ბაქანზე შეხვდა გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში სსრ კავშირის საელჩოს შემადგენლობა და მათი ოჯახის წევრები. საბჭოთა მოსწავლეებმა ყვავილების თაიგული მიართვეს ა. ი. მიქოიანს.

შეხვედრას დაესწრო აგრეთვე დასავლეთ გერმანიისა და უცხოეთის პრესას მრავალი წარმომადგენელი. ვაგზლის მოედანზე ბონის ათასობით მცხოვრები გულთბილად მიესალმა სტუმარს.

ხელი მოაწერეს შეთანხმებებს სსრ კავშირსა და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას შორის

ბონი, 25 აპრილი. (საკდესი). დღეს გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროში ხელი მოაწერეს სსრ კავშირსა და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას შორის შეთანხმებებს სავაჭრო-ეკონომიურ საკითხებზე და საკონსულო ხელშეკრულებას, რომლებიც პარაფირებული იყო მოსკოვში ორიოდე ქვეყნის მთავრობათა დელეგაციების მოლაპარაკების შედეგად.

საბჭოთა კავშირის მხრივ შეთანხმებებს სავაჭრო-ეკონომიურ საკითხებზე ხელი მოაწერეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ა. ი. მიქოიანმა და სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის მინისტრის მოადგილე ვ. ს. სემიონოვი.

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მხრივ ხელნაწერ დოკუმენტებს ხელი მოაწერეს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა ბრენტანომ და ელჩმა ლარმა.

შეთანხმებათა ხელისმოწერის შემდეგ ა. ი. მიქოიანმა და ბრენტანომ სიტყვებით მიმართეს ერთმანეთს.

დარბაზობა ჰ. ბრენტანოსთან ა. ი. მიქოიანის პატივსაცემად

ბონი, 26 აპრილი. (საკდესი). გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა ჰ. ბრენტანომ გუშინ საღამოს დარბაზობა გამართა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის ა. ი. მიქოიანისა და მის თანმხლებ პირთა პატივსაცემად, რომლებიც გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში ჩამოვიდნენ, რათა ხელი მოეწერათ გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკასა და სსრ კავშირს შორის შეთანხმებებისათვის სავაჭრო-ეკონომიურ საკითხებზე და საკონსულო ხელშეკრულებისათვის.

ა. ი. მიქოიანთან ერთად დარბაზობაზე იყვნენ სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ვ. ს. სემიონოვი, სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის მინისტრის მოადგილე პ. ნ. კუმიკინი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს ევროპის მესამე განყოფილების გამგე ი. ი. ილიჩოვი, აგრეთვე სსრ კავშირის ელჩი გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში ა. ა. სმირნოვი, საბჭოთა საელჩოს პასუხისმგებელი თანამშრომლები.

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მხრივ დარბაზობაზე იყვნენ ფინანსთა მინისტრი ფ. ეტცელი, თავდაცვის მინისტრი ი. შტრაუსი, ბუნდესტაგის ვიცე-თავმჯდომარე რ. ეგერი, ფედერალური კანცლერის კანცელარიის სტატს-მდივანი გ. გლობკე, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს სტატს-მდივანი ხ. შერპენბერგი, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს სოციმო განყოფილების უფროსი ს. ბრაუნი, ელჩი რ. ლარი, პოლიტიკური პარტიების ხელმძღვანელი მოღვაწეები, სამინისტროთა პასუხისმგებელი თანამშრომლები, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საქმიანი წრეებისა და საზოგადოებრივობის წარმომადგენლები.

სტუმრებს შორის დარბაზობაზე აგრეთვე იყვნენ გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში აკრედიტებული მთელ რიგ დიპლომატიურ წარმომადგენლობათა მეთაურები და თანამშრომლები, აგრეთვე გერმანული და უცხოეთის პრესის წარმომადგენლები.

იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის VII ყრილობა

ლიუბლიანა, 24 აპრილი. (საკდესი). იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის VII ყრილობა მუშაობას განაგრძობს. გუშინ მოხსენებით იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის ორგანიზაციულ-პოლიტიკური ამოცანების შესახებ გამოვიდა ა. რანკოვიჩი.

დღეს მოხსენება იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის პროგრამის შესახებ გააკეთა ედვარდ კარდელმა.

დიდი ბრიტანეთის კომპარტიის აღმასრულებელი კომიტეტი - იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის პროგრამის პროექტის შესახებ

ლონდონი, 24 აპრილი. (საკდესი). დიდი ბრიტანეთის კომუნისტური პარტიის აღმასრულებელმა კომიტეტმა პარტიის რაიონულ კომიტეტებს დაუგზავნა წერილი, რომელშიც განმარტავს, თუ რატომ გადაწყვიტა არ გაგზავნოს ძმური დელეგაცია იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის ყრილობაზე, რომელიც ამჟამად ლიუბლიანაში მიმდინარეობს.

წერილში ნათქვამია, რომ იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის პროგრამის პროექტის განყოფილება, რომელიც საერთაშორისო ურთიერთობას ეხება, შეიცავს განცხადებებს, რომლებიც იმდენად ეწინააღმდეგება დიდი ბრიტანეთის კომუნისტური პარტიის პროგრამას, რაც ჩამოყალიბებულია ბროშურაში „ბრიტანეთის გზა სოციალიზმისაკენ“, რომ შეუძლებელი იქნებოდა არ გაგვეკრიტიკებინა ისინი ყრილობაზე.

რადგან აღმასრულებელ კომიტეტს არ მიაჩნია, რომ ეს სწორი იქნებოდა, მან გადაწყვიტა არ გაგზავნოს დელეგაცია.

იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის პროგრამის პროექტი, აღნიშნულია წერილში, არ შეიცავს ამერიკის იმპერიალიზმის პოლიტიკის ან ახლანდელ საერთაშორისო მდგომარეობაში მისი როლის ანალიზს, მაშინ როცა ბროშურაში „ბრიტანეთის გზა სოციალიზმისაკენ“, ხაზგასმით იყო აღნიშნული, რომ ომის საშიშროება დღის წესრიგში რჩება იმპერიალისტთა აგრესიული ზრახვების გამო სოციალისტური ქვეყნების წინააღმდეგ.

საერთაშორისო დაძაბულობის იუგოსლავიური ანალიზი ეწინააღმდეგება აგრეთვე 64 კომუნისტური და მუშათა პარტიის მშვიდობის მანიფესტს, რომელსაც გასული წლის ნოემბერში იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირმაც მოაწერა ხელი.

წერილში მოყვანილია კიდევ რამდენიმე ამონაწერი იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის პროგრამის პროექტიდან და მოყვანილია მათი შედარება იმ ანალიზთან, რომელიც მოცემულია ბროშურაში „ბრიტანეთის გზა სოციალიზმისაკენ“. წერილში შემდეგ ნათქვამია: „ამიტომ, თუმცა ჩვენი ნების წინააღმდეგ, ჩვენ შეგვეძლო მხოლოდ იმ დასკვნამდე მივსულიყავით, რომ იუგოსლავიის პროექტი უგულებელყოფს ძირითად წინააღმდეგობას მსოფლიოში — წინააღმდეგობას კაპიტალისტურ სისტემასა და სოციალისტურ სისტემას შორის“.

„უნიტა“ იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის ყრილობის შესახებ

პარიზი, 24 აპრილი. ფრანს პრესის საგენტოს კორესპონდენტი რომიდან გადმოგვცემს:

„ტიტოს განცხადება ბლოკებად მსოფლიოს გათიშვის მიზეზების შესახებ მიღებულია“ — ასეთი სათაურით იტალიის კომუნისტური პარტიის ორგანო „უნიტა“ დღეს კომენტარს უკეთებს მარშალ ტიტოს გამოსვლას იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის VII ყრილობაზე.

კომუნისტური გაზეთი, კერძოდ, უსაყვედურებს მარშალ ტიტოს იმას, რომ მას „მარშალის გეგმა მიაჩნია იმ ეკონომიური. დახმარების მხოლოდ ერთ-ერთ ფორმად, რომელიც მიმართულია დასავლეთ ევროპაში შესაძლო პოლიტიკური კრიზისების თავიდან აცილებისაკენ“. გარდა ამისა „უნიტა“ იუგოსლავიის სახელმწიფოს მეთაურს უსაყვედურებს მის განცხადებას „სტალინის შეურიგებელი პოლიტიკის შესახებ, რომელმაც გამოიწვია საბჭოთა კავშირის იზოლაცია და „მსოფლიოში მისი პოზიციების“ შესუსტება“.

ამასთან ერთად „უნიტა“ აღნიშნავს მარშალ ტიტოს კეთილმოსურნე პოზიციას ატომური იარაღის გამოცდის შეწყვეტის შესახებ საბჭოთა გადაწყვეტილების მიმართ.

(„პრავდა“, 25/IV).

ბრიუსელის მსოფლიო გამოფენაზე

ბრიუსელი, 25 აპრილი. (საკდესი). ერთი კვირა გავიდა მას შემდეგ, რაც ბრიუსელში გაიხსნა მსოფლიო უნივერსალური გამოფენა, რომელზეც 50-ზე მეტი ქვეყანა და 10 საერთაშორისო ორგანიზაცია უჩვენებს უკანასკნელ მიღწევებს ეკონომიკის, მეცნიერებისა და კულტურის დარგში.

დამთვალიერებელთა და პრესის ერთსულოვანი აზრით საყოველთაო ყურადღების ცენტრშია საბჭოთა კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების პავილიონები, რომლებიც ერთმანეთის მეზობლად მდებარეობენ და თითქოს წარმოადგენენ ორი სხვადასხვა სამყაროს, ორი სხვადასხვა ცივილიზაციის სიმბოლოს.

ადარებს რა ყველაფერს, რაც საბჭოთა პავილიონში ნახა, სხვა ქვეყნების მიღწევებს, ბევრი დამთვალიერებელი მიიღის იმ დასკვნამდე, რომ სოციალისტურ სისტემას უდიდესი უპირატესობა აქვს კაპიტალისტურის წინაშე. „თქვენი ცივილიზაცია, — ჩაწერა შთაბეჭდილებათა წიგნში ერთ-ერთმა დამთვალიერებელმა, — როგორც ტექნიკურად, ისე სულიერად ბურჟუაზიულ ცივილიზაციაზე მაღლა დგას“...

ბევრი საუცხოო ჩანაწერი დატოვეს დამთვალიერებლებმა, რომლებიც გაეცნენ რადიოაპარატურის განყოფილებას. ს. ნიკიტი ლოს-ანჯელოსიდან წერს: „სსრ კავშირის მიღწევებმა რადიოს დარგში დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე“.

სვეტენგთა სამეცნიერო კონფერენცია

17-24 აპრილს თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში მიმდინარეობდა სტუდენტთა XX სამეცნიერო კონფერენცია, მიძღვნილი საკავშირო ალკა მე-40 წლისთავისადმი.

კონფერენციაში მონაწილეობდა 13 სექცია: მექანიკა-მათემატიკის, ფიზიკის, ქიმიის, გეოგრაფიის, გეოლოგიის, ბიოლოგიის, ისტორიის, იურიდიულ-ფილოსოფიურ მეცნიერებათა, ქართული ლიტერატურისა და ჟურნალისტიკის, ენათმეცნიერების, რუსული ენისა და ლიტერატურის, აღმოსავლეთმცოდნეობის, საზღვარგარეთული ლიტერატურის ისტორიის და უცხო ენათა და ეკონომიურ მეცნიერებათა სექციები.

კონფერენციაზე სულ წაკითხული იყო 167 მოხსენება. ბევრმა სტუდენტმა გამოავლინა დამოუკიდებელი კვლევისა და მეცნიერული მუშაობის კარგი უნარი. სტუდენტების რ. დევდარიანის, გ. ქაჯაიას, ზ. ალექსიძის, ა. შუშანიშვილის, რ. სირაძის, კ. იმედაშვილის და სხვ. მოხსენებებმა მაღალი შეფასება დაიმსახურეს.

თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა XX სამეცნიერო კონფერენციაში მონაწილეობა მიიღეს ჩვენი ქვეყნის 16 ქალაქის წარმომადგენლებმა. სტუმრები იყვნენ მოსკოვიდან, ლენინგრადიდან, კიევიდან, ბაქოდან, ერევნიდან, სამარყანდიდან, სტალინაბადიდან და სხვა ქალაქებიდან.

კონფერენციამ საინტერესოდ და საქმიანად ჩაიარა.

ა. ბ. ბარდაველიძე

მონოგრაფია კულტურულ-ისტორიული პრობლემების შესახებ*

ხალხთა კულტურისა და ყოფის შემსწავლელი ეთნოგრაფიული მეცნიერების საბჭოთა სკოლა შეიარაღებულია ისტორიული მატერიალიზმის მეთოდოლოგიური საფუძვლებით. საველე მუშაობის კომპლექსურ-ინტენსიური მეთოდის წარმატებით გამოყენებით იგი იკვლევს როგორც ეთნოგრაფიულ წარსულს, ისე თანამედროვე ცხოვრებას.

საბჭოთა საქართველო ეთნოგრაფიული მუშაობის ერთ-ერთი ცენტრია. აქ მუშავდება საქართველოს ეთნოგრაფიის, აგრეთვე კავკასიისა და ზოგადი ეთნოგრაფიის პრობლემები. ქართველ ეთნოგრაფთა გამოკვლევებს იცნობენ და სამეცნიერო მუშაობაში იყენებენ არა მარტო საბჭოთა კავშირის, არამედ აგრეთვე სახალხო დემოკრატიის და სხვა ქვეყნების მეცნიერები.

ჩვენი ეთნოგრაფიული სკოლის მეცნიერული მიღწევების ერთ-ერთ თვალსაჩინო მაგალითს წარმოადგენს დოცენტ ვერა ბარდაველიძის ვრცელი მონოგრაფიული გამოკვლევა — „ქართველ ტომთა უძველესი სარწმუნოება და საწესო გრაფიკული ხელოვნება“, რომელიც საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობამ რუსულ ენაზე გამოაქვეყნა.

ვ. ბარდაველიძის მონოგრაფიაში აღძრული საკვლევაძიებო საკითხების საფუძველს წარმოადგენს ის მდიდარი ეთნოგრაფიული ნასალა, რომელიც წლების მანძილზე საველე მუშაობის შედეგად ავტორის მიერ ან მისი კონსულტაციით არის შეგროვებული.

ქართველი ხალხის ქრისტიანობის წინა პერიოდის რელიგიური მსოფლმხედველობის არსის გარკვევისა და მისი განვითარების ფორმების დადგენასთან ერთად, ავტორი ეთნოგრაფიული მონაცემების გამოყენებით ახდენს მათი შესაბამისი საზოგადოებრივი წყობილების ფორმების აღდგენას.

წიგნი „ქართველ ტომთა უძველესი სარწმუნოება და საწესო გრაფიკული ხელოვნება“ არ წარმოადგენს პირველ გამოკვლევას, რომელიც ქართველ მთიელ ტომებში ადრეკლასობრივი ურთიერთობის არსებობას ეხება, მაგრამ ვ. ბარდაველიძე პირველი ავტორია, რომელმაც ეს საკითხი დასვა და საფუძვლიანი კვლევაძიების შედეგად წარმატებით გადაწყვიტა.

საქართველოში მონათმფლობელური საზოგადოების, მონათმფლობელური სახელმწიფოს არსებობის ფაქტი დღეისათვის სადავო აღარ არის. მაგრამ ეთნოგრაფიულ და საერთოდ ისტორიულ ლიტერატურაში გავრცელებულია ის აზრი, რომ ქართველ მთიელთა საზოგადოებრივი ცხოვრებისათვის, ბარის მცხოვრებთაგან განსხვავებით, დამახასიათებელ თავისებურებას წარმოადგენდა პირველყოფილ-თემური წყობილება, უკეთეს შემთხვევაში ამ წყობილების „ძლიერი“ გადმონაშთები.

წინაღმდეგ ამისა, სწორედ აღმოსავლეთ საქართველოს ქართველ მთიელთა ეთნოგრაფიული მასალების საფუძველზე ვ. ბარდაველიძე ადგენს კლასობრივი საზოგადოების ადრეულ ფორმას, აღადგენს უძველესი დროიდან მოკიდებული ქართველი ტომების განვითარების ერთიან და უწყვეტ პროცესს, რომელიც მთისა და ბარის მკვიდრთათვის მეტნაკლებად, მაგრამ მაინც საერთო იყო.

სარეცენზიო ნაშრომის პირველ ნაწილში დადგენილია დღემდე სამეცნიერო ლიტერატურაში უცნობი ძველი ქართული პანთეონის განვითარების ორი საფეხური. ამათგან ერთი პირველყოფილ-თემური საზოგადოების რღვევას ასახავს, ხოლო მეორე ადრეკლასობრივი წყობილების დროინდელი ცხოვრების რეალურ პირობებს.

აღმოსავლეთ საქართველოს ქართველ მთიელთა რწმენა — წარმოდგენით პანთეონში ასახულია იერარქიული წყობილების მრავალსაფეხურიანი კიბე, რომლის სათავეში დგას უმაღლესი „ხალოსუფალი“ სამეული, მორ[illegible] ღმერთის ხელმწიფობით. ქვედა საფეხურებზე განლაგებული არიან ადგილობრივი ღვთაებანი უფროს-უმცროსობის მიხედვით, უფროს-უმცროსობა განპირობებულია ტერიტორიულ-ეთნიკურ ღვთაებათა თუ მათი „მსახურების“ მეტნაკლები ძლიერებით, რაც თავის მხრივ იმ თემის რიცხობრივ და ეკონომიურ ძლიერება-შეძლებულობას ემყარება, რომლის ხარჯზეც ისინი ემსახურებიან მორიგე ღმერთს ან მისი „კარის“ მაღალ მოხელე ღვთაებებს.

ამასთან ერთად ღვთაებებს ჰყავდათ თანაშემწეები: 1. მექილიკენი, რომელთა მოვალეობას შეადგენდა დღეობის დროს მეთემეებში პროვოკაციის გამოწვევა, რომ შემდეგ წესის დამრღვევთა შესახებ ღვთაებებისათვის მოეხსენებიათ და დაესაჯათ ისინი, 2. მეყურიადენი, რომელნიც თვალყურს ადევნებდნენ მეთემეთა ცხოვრებას, 3. მემარცვლენი, რომლებსაც დავალებული ჰქონდათ ზედამხედველობა ჯვარ-ხატის კუთვნილ ყანებში მომუშავე მეთემეებზე, რომ ამ უკანასკნელთ სამუშაო კარგად შეესრულებინათ და რომ ჯვარ-ხატს სავალდებულო ღალა არ დაჰკლებოდა.

კონკრეტული მაგალითებით დადასტურებულია ისიც, რომ ღვთაებათა პანთეონში წესად იყო მიღებული გამორჩენა-გამოძალვის, ანგარებისა და მოსყიდვა-მექრთამეობის უხეში ფორმები.

ამგვარად, აღმოსავლეთ საქართველოს მთიელთა ძველი რელიგიური რწმენა-წარმოდგენებისა და საზოგადოებრივ-ეკონომიური ცხოვრების ამსახველი ეთნოგრაფიული გადმონაშთების შეპირისპირების საფუძველზე ავტორი აღადგენს მწყობრ იერარქიულ სისტემას, რომელიც შესაძლებელია შეესაბამებოდეს მხოლოდ და მხოლოდ მაშინდელ წყობილებას.

ამ აღმოჩენის მნიშვნელობა საქართველოს ისტორიის ფარგლებს სცილდება და კავკასიის მკვიდრი მოსახლეობის ძველი საზოგადოებრივი ურთიერთობის ახლებური განხილვის შესაძლებლობას იძლევა. ამასთან ერთად იგი მცირე აზიის, საერთოდ აღმოსავლეთის ქვეყნების პირველ კლასობრივ წყობილებასაც ესიტყვება და ამდენად ზოგადი ეთნოგრაფიული მნიშვნელობის მოვლენას წარმოადგენს.

ავტორი აღადგენს შედარებით ადრეულ პანთეონს, რომელიც შეესაბამებოდა პირველყოფილ-თემური საზოგადოების უკვე დაჩქარებული რღვევის პერიოდს, მისი სამხედრო დემოკრატიის საფეხურს. ამ მიგნების და, გარდა ამისა, სხვა ახალი საკითხების შესწავლის შედეგად, ავტორი ახლებურად ხსნის არქეოლოგიური გათხრებით აღმოჩენილი ცნობილი თრიალეთური ვერცხლის თასის ფრიზზე გამოყვანილი სცენის შინაარსს და პროფ. ბ. კუფტინისა და აკად. შ. ამირანაშვილის მოსაზრებათაგან განსხვავებით, ახალ დებულებას აყენებს.

სპეციალისტები უყოყმანოდ აღიარებენ, რომ თრიალეთური ვერცხლის თასი (II ათასეული ჩვენს წელთაღრიცხვამდე) ადგილობრივი ნახელავია; ამიტომ მისი ზემო ფრიზის სიუჟეტის შინაარსი მხოლოდ ადგილობრივი ეთნიკური წრის რელიგიური მონაცემებით შეიძლება აიხსნას. ამ სწორ წანამძღვარზე დაყრდნობით ვ. ბარდაველიძე დაასკვნის: იმ დროის საზოგადოებას სავსებით შეესაბამებოდა მის მიერ დადგენილი რელიგიური ზედნაშენი — ღვთაებათა პანთეონი, სადაც არ შეიძლებოდა სავსებით გამოყოფილი და გაფორმებული ყოფილიყო უმაღლეს ღვთაებათა სამეული. ამის შემდეგ სავსებით ლოგიკურია ავტორის დასკვნა: თრიალეთური ვერცხლის თასი ქართველი ხალხის წინაპრების კულტურულ მონაპოვარსა და მის ეთნიკურ კუთვნილებას წარმოადგენს.

ნაშრომის მეორე ნაწილში ავტორი იკვლევს სვანეთის ეთნოგრაფიულ ყოფაში შემონახულ საწესო გრაფიკული ხელოვნების მდიდარ მასალას.

საწესო გრაფიკული ხელოვნების ცალკეული ნიმუშების სიუჟეტის, ფორმისა და იდეური შინაარსის დაწვრილებითი შესწავლის შედეგად დადგენილია, რომ მასში ძირითადად შერწყმულია ორგვარი ნახატები: რელიგიურ-სიმბოლიური და მაგიური.

ნაშრომში ისიც არის დადგენილი, რომ სვანური საწესო გრაფიკული ხელოვნება ასახავს ადამიანთა არა მითვისებითს, არამედ წარმოებითს საქმიანობას. ამ ნიშნით იგი წარმოადგენს მესაქონლეობისა და მიწათმოქმედების, ძველი სამეურნეო კულტურის მქონე ხალხის სარწმუნოების შესატყვის მხატვრულ შემოქმედებას.

ნაშრომში გაკრიტიკებული არიან ბურჟუაზიული ეთნოლოგიის ცნობილი წარმომადგენლები, რომლებიც ცდილობენ ხალხური ხელოვნების წარმოშობის ახსნას ვულგარული მატერიალიზმის პოზიციებიდან. ქართული ეთნოგრაფიული მასალების კონკრეტული მონაცემების საფუძველზე ავტორი ვრცლად ეხება და აკრიტიკებს ცნობილი ამერიკელი მკვლევარის ფრანც ბოასის დიფუზიონისტურ თეორიას და ააშკარავებს ამ თეორიის უძლურებას ხალხური ხელოვნების გენეზისის ახსნაში.

ნაშრომს დართული აქვს მაღალმხატვრული გემოვნებით შესრულებული ილუსტრაციები.

წიგნის ნაკლოვანებებიდან შეიძლება დავასახელოთ ის ფაქტი, რომ ზოგჯერ სქოლიოში მითითებული ნაშრომი მხოლოდ იმის მაჩვენებელია, თუ რა საკითხს ეხება იგი, ხოლო როგორ არის გადაწყვეტილი, სარეცენზიო ნაშრომიდან ძნელად გასაგები რჩება.

სახლიშვილობის ინსტიტუტისა და ტერმინ „სახლიშვილის“ ისტორიის სისრულისათვის კარგი იქნებოდა ეთნოგრაფიული და ენობრივი მასალის ჩართვა გურიიდან, სადაც ორივე მათგანმა, მამის გვარის გვერდით, შეინარჩუნა შვილის დედის გვარით დასახელებაც. გურული მასალა მატერიარქატის დროინდელი წარმონაქმნ ტერმინად წარმოაჩენს „სახლიშვილს“, რომელსაც კლასობრივი საზოგადოების წყობილებათა გამოვლის მიუხედავად გურიაში სოციალური ფუნქცია არ გამოუხატავს.

რასაკვირველია, აღნიშნული გურული მონაცემები არ ეწინააღმდეგებიან ავტორის იმ მართებულ დებულებას, რომ მის მიერ შესწავლილ მხარეებში ნათესაობის აღმნიშვნელ ამ ტერმინს სოციალური ფუნქციის გამოხატვა დაეკისრა. საინტერესო კი იქნებოდა, რომ გარკვეული ყოფილიყო — რა გარემოებამ განაპირობა ახალი, კლასობრივი დროის სულ სხვა ბუნების მატარებელი ინსტიტუტის ასე ძველი, სისხლის ნათესაობის გამომხატველი სახელ-ტერმინით აღნიშვნა!

სარეცენზიო ნაშრომში შეიძლება ზოგიერთი სადავო საკითხიც იყოს. მაგრამ ერთი კი დანამდვილებით შეიძლება ითქვას: დოც. ვ. ბარდაველიძის დიდი მონოგრაფიული გამოკვლევა — „ქართველ ტომთა სარწმუნოება და საწესო გრაფიკული ხელოვნება“, რომელიც 28 საავტორო თაბახს შეიცავს, საბჭოთა ეთნოგრაფიული მეცნიერების ძვირფას შენაძენს წარმოადგენს.

ი. ჯუღნია,
ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატი.

*) В. В. Бардавелидзе, Древнейшие религиозные верования и обрядовое графическое искусство грузинских племен. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამოცემა 1957 წ.

„გ ე ლ ა თ ი“

საქართველოში არაერთი ისტორიული ძეგლია, რომელთაც გაუძლეს დროთა სრბოლას. მათ რიცხვს ეკუთვნის ქართული ეროვნული ხუროთმოძღვრების ბრწყინვალე ნიმუში გელათი.

თბილისის კინოსტუდია „ქართული ფილმის“ მიერ ახლახან გამოშვებული კინონარკვევი „გელათი“ მაყურებელს მდელვარედ, უაღრესად ემოციურად მოუთხრობს XII საუკუნის ქართული ხუროთმოძღვრების ამ დიდებული ძეგლის შესახებ, იმ ქართველ ჯადოქარ ხელოვანთა შესახებ, რომლებსაც აუგიათ იგი.

ფილმის სცენარის ავტორი და დამდგმელი საკავშირო კინემატოგრაფიის სახელმწიფო ინსტიტუტის სარეჟისორო ფაკულტეტის დიპლომანტი, ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი ლანა ღოღობერიძე ღრმად გასცნობია გელათის ისტორიას, შეუსწავლია მისი მხატვრობა და არქიტექტურა, სიყვარულით შეუქმნია ფილმი.

...ეკრანზე სანთლის მკრთალ სინათლეზე იფურცლება დროთა ვითარებისაგან გაცრეცილი ჩვენი წარსულის მრავლისმეტყველი მატიანე — „ქართლის ცხოვრება“. ორიგინალურად არის ავტორის მიერ მოფიქრებული ფილმის დასაწყისი. ჯერ მაყურებელი ხედავს ძეგლის ადგილსამყოფელს, იმ მშვენიერ მიდამოს, სადაც დავით აღმაშენებლის ბრძანებით აუგიათ გელათი, შემდეგ მხატვარ გ. ნადირაძის მიერ ლამაზად მოხატული ასოებით მაყურებელი ეცნობა ფილმის ავტორებს.

კარგად არის მოფიქრებული ფილმში წარსულის გადმოცემის ხერხი. ეკრანზე მოჩანს გელათის მთელი ანსამბლი. კადრები ასახავენ ძეგლის არქიტექტურას. გოცებთ მისი სიდიადე, და უნებურად იხსენებთ იმ ადამიანებს, ვისაც დაუღალავი შრომით აუგიათ მონასტერი. გესმით დიქტორის ხმა: ... „აქ სიჩუმეა, მზე და სიჩუმე, ფიქრთა მომგვრელი“.

გელათის ისტორიაზე თვით ქვები მეტყველებენ, ქართველ ხუროთმოძღვართა ხელით გამოკვეთილი, დიდებული ორნამენტებით დამშვენებული ქვები. თვალს ადევნებთ კადრებს. აგერ დავით აღმაშენებლის ქანდაკება. მან ვერ მოასწრო აშენება მონასტრისა... ჩრდილი გადაეფინა ქანდაკებას... იხსენება გრიგნილი — ანდერძი მეფე დავითისა... საფლავის ქვა მონასტრის შესავალში. ყამთა სვლაში გარდაშლილი მისი წარწერა. აქ რეჟისორის მიერ ოსტატურად არის გადმოცემული დროთა ცვლილება. ეკრანზე მოჩანს საფლავის ქვაზე მიმავალ სხვადასხვა დროს მცხოვრებ ადამიანთა ლანდები.

რეჟისორს კარგად აქვს გადაწყვეტილი ტაძრის დიდებული ინტერიერის ჩვენება. ყურადღების მაპყრობი მან ლამაზად მოხატულ გუმბათზე გადაიტანა და მისი სივრცის საჩვენებლად მაყურებლის თვალწინ დაატრიალა ვეებერთელა გუმბათი. კადრები ნელ-ნელა ჩამოდის დაბლა. მოჩანს სხვადასხვა დროს შექმნილი ფრესკები.

ორმაგი ეკსპოზიციის გადმოცემის ხერხით რეჟისორი აღწერს იმ ავბედითს დროს, როცა მტერმა შემუსრა დიდებული ტაძარი. მემატიანეს ცნობით, 1510 წელს თათრებმა დასწვეს დიდი მონასტერი შიგნით და გარეთ, იწვის „ქართლის ცხოვრება“, „ალში გახვეულა მონასტერი, ტაძარი მაინც გადარჩენილა, მხოლოდ ქვებს ოდნავ უცვლიათ ფერი.

ფილმში ასახულია გელათის მთელი ანსამბლი. აგერ მე-12 საუკუნეში დავით აღმაშენებლის დროს აგებული აკადემია — განათლების ცენტრი, ფილოსოფიისა და მეცნიერების კერა. ეკრანზე მოჩანს ყამთა სიავისაგან ღრმად კვალდამჩნეული აკადემიის შენობა, რვა საუკუნის წინათ დაარსებული ქსენონი — დავრდომილთა და მოხუცთა თავშესაფარი, წმიდა გიორგის ტაძარი, წმიდა ნიკოლოზის ეკლესია, სამრეკლო, რომლებიც აშენებულია შემდეგ საუკუნეებში.



სურათებზე: კადრები ფილმიდან.

გელათის სალარო ერის საგანძურთა დასაბიზნავი ადგილი ყოფილა. მაყურებელი ეცნობა მე-12 საუკუნეში შესრულებულ ჰორელიეფს, გელათის სახატრებას, ცნობილი ოქრომჭედლების ბეშქენ და ბექა ოპიზარების ნახელავს. ქართული ოქრომჭედლობის ბრწყინვალე ნიმუშს — ხახულის ღვთისმშობელს.

ნელ-ნელა ჩაიწვა სანთელი. დასრულდა „ქართლის ცხოვრების“ ერთი ფურცელი... ასევე ორიგინალურად მთავრდება ფილმი.

ახალგაზრდა კინორეჟისორმა ლანა ღოღობერიძემ, რომლის პირველი ნაწარმოებია ეს ფილმი, შესანიშნავად შეძლო ეჩვენებინა მაყურებლისათვის ჩვენი მატერიალური კულტურის ეს ძეგლი. ფილმი დიდი გემოვნებით, სიყვარულით და მხატვრული სიფაქიზით არის შექმნილი. არ არის დატოვებული ძეგლის არქიტექტურის, მხატვრობისა თუ ისტორიის თითქმის არც ერთი მნიშვნელოვანი მომენტი, რომელზეც ავტორს არ გაემახვილებინოს ყურადღება.

ფილმის წარმატებას დიდად უწყობს ხელს ოპერატორის ა. სემიონოვის შესანიშნავი ნამუშევარი. გამოცდილი ოპერატორი გადაღების წერტილების მონახვით ქმნის ისეთ კადრებს, რომლებიც მხატვრული სურათების შთაბეჭდილებას ტოვებენ. განსაკუთრებით ოსტატურად აქვს მონახული ოპერატორს მოზაიკის, ფრესკების გადმოცემის ხერხი. ახალგაზრდა კომპოზიტორის ოთარ გორდელის ღრმა, შთაგონებული მუსიკა სათანადო ფონს უქმნის მხატვრულად გადაწყვეტილ დოკუმენტალურ ფილმს.

საქართველოში კიდევ მრავალი ლირსშესანიშნავი ძეგლია. კარგი იქნება, თუ თბილისის კინოსტუდია მათაც გააცნობს ფართო მაყურებელს.

ფილმი მიღებულია საკავშირო ეკრანებზე და აგრეთვე განზრახულია მისი გაგზავნა საზღვარგარეთ.

ლ. ᲮᲣᲑᲣᲚᲣᲠᲘ.

ᲤᲐᲘᲤᲣᲠᲘᲡ ᲘᲨᲕᲘᲐᲗᲘ ᲜᲐᲙᲔᲗᲝᲑᲐ

თბილისის სამხატვრო აკადემიის კერამიკის ფაკულტეტის მეექვსე კურსის სტუდენტმა ავთანდილ სპარსიაშვილმა სადიპლომო სამუშაოს თემად აირჩია იატაკზე დასადგმელი 2 მეტრი და 40 სანტიმეტრი სიმაღლის ფაიფურ ტორშერის (დასადგმელი სანათურის) შექმნა. მის შესასრულებლად ახალგაზრდა დიპლომანტი აკადემიამ რიგის ფაიფურის ქარხანაში მიავლინა.

სურათზე: ავთანდილ სპარსიაშვილი მის მიერ შესრულებულ ფაიფურის სანათურთან. ფოტო ავტორისა.

ქარხნის სპეციალისტებმა მ. ტელიშევმა (დირექტორი), ნ. კაშეევმა (ფაიფურის საამქროს უფროსი) და დ. ტრაბომ (მუშა-სპეციალისტი) გულთბილად მიიღეს სპარსიაშვილი და ყოველდღიურ პრაქტიკულ დახმარებას უწევდნენ მას.

მიუხედავად იმისა, რომ ბევრი ცდა უშედეგოდ დამთავრდა, ა. სპარსიაშვილს საქმეზე გული არ ასცრუებია, იგი მონდომებით სწავლობდა წარუმატებლობის მიზეზებს და ბეჯითი შრომით მალე გამარჯვებასაც მიაღწია.

ავთანდილ სპარსიაშვილის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მის მიერ შესრულებული ასეთი ფაიფურის ტორშერი თავისი ზომითა და ფორმის სიახლით იშვიათი ნამუშევარია. დეკორაციული სანათური ნაძერწია ქართული ორნამენტებით და შედგება შვიდი ნაწილისაგან. მის ზედა ნაწილზე მოთავსებულია ჯამი, რომელზეც მანათობელი და შუქდამჩრდილავი ფირფიტებია.

— სპარსიაშვილის მიერ შესრულებული ფაიფურის ეს სანათური, — განაცხადა ქარხნის დირექტორმა მ. ტელიშევმა, — კერამიკის წარმოებაში დიდი მიღწევაა. ქარხნის კოლექტივი აღფრთოვანებულია მოძმე რესპუბლიკიდან სტუმრად ჩამოსული ნიჭიერი ახალგაზრდის წარმატებით.

Გ. ᲙᲐᲪᲘᲐᲣᲕᲘᲚᲘ.

ქ. რიგა.

ᲛᲡᲐᲮᲘᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲘᲗᲘ ᲒᲖᲐ

ლ. ალაჰვერდიანის დაბადებიდან 70 და სასცენო მოღვაწეობის 50 წლის იუბილე

• • •

ლ. ალაჰვერდიანი ერთ-ერთი საუკეთესო წარმომადგენელია ძველი თაობის სახელოვან მსახიობთა პლეადისა. მისი ცხოვრებისა და შემოქმედების უმეტესმა ნაწილმა ვანელო საბჭოთა პერიოდში, რომელსაც მან მოახმარა მთელი თავისი ძალღონე, ცოდნა და გამოცდილება. იგი დაიბადა 1887 წელს, ქალაქ თბილისში, ღარიბი ხელოსნის ოჯახში. სწავლა მიიღო ჯერ სამრევლო სკოლაში და შემდეგ თბილისის ნერსესიანის სემინარიაში, რომელიც ვერ დაამთავრა მამის უდროო სიკვდილისა და დაობლებული ოჯახის მძიმე პირობების გამო.

მალე ლ. ალაჰვერდიანი სამსახურში ეწყობა, რათა ხელი შეუწყოს მატერიალურად დაქვეითებულ ოჯახს.

ახალგაზრდა ლევონი 900-იანი წლების დასაწყისში ესწრება მთელ რიგ სომხურ-ქართულ წარმოდგენებს თბილისში, რამაც იგი უმალვე გაიტაცა. ლ. ალაჰვერდიანმა შეიყვარა თეატრალური ხელოვნება და 1904 წელს დაიწყო მონაწილეობის მიღება სცენისმოყვარეთა მიერ გამართულ წარმოდგენებში ავჭალის აუდიტორიაში, ავლაბრის მურაშკოსა და პ. არაქსიანის თეატრებში და სხვ.

1906 წელს იგი მიწვეულ იქნა თბილისის სომხური დრამატული საზოგადოების დასში ყოფილ არტისტულ თეატრში როგორც პროფესიული მსახიობი. აქედან იწყება ლ. ალაჰვერდიანის ნაყოფიერი სასცენო მოღვაწეობა. მაგრამ მისმა შემოქმედებამ, ისევე როგორც ყველა დანარჩენი შემოქმედის ხელოვნებამ ჩვენში, ფრთა გაშალა მხოლოდ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციისა და ამიერკავკასიაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ.

ლ. ალაჰვერდიანი 1932 წლამდე მუშაობს ბაქოს წითელდროშოვან სახელმწიფო სომხურ თეატრში (შემდეგში ლ. ერემიანის სახელობის სახელმწიფო თეატრი), ხოლო აღნიშნულ წელს გადმოდის ისევ თბილისში, სადაც დღემდე განაგრძობს მუშაობას სტ. შაუმიანის სახელობის სახელმწიფო სომხურ თეატრში.

ლ. ალაჰვერდიანი მრავალფეროვანი მსახიობია, მისთვის განსაზღვრული ამპლუა არ არსებობს, მას ერთნაირი ოსტატობით ეხერხება ამა თუ იმ სახის განსახიერება სცენაზე როგორც დრამაში, ისე კომედიაში. ბუნებრივ ნიჭსა და დიდ ტემპერამენტს, სასცენო ხელოვნების დაუფლებასა და მრავალი წლის გამოცდილებას მსახიობი სათანადო ფერებით იყენებს ყოველი ახალი სახის გამოძერწვის დროს.

ასეთია მის მიერ შესრულებული მეფე და პოლონიუსი (უ. შექსპირის — „ჰამლეტი“), იაგო და ბრაბანციო (უ. შექსპირის — „ოტელო“), ფრანცი და მამა (ფ. შილერის — „ყაჩაღები“), პრეზიდენტი და მილერი (ფ. შილერის — „ვერაგობა და სიყვარული“), პეპო, ზიმზიმოვი, გიქო და კაკული (გ. სუნდუკიანის — „პეპო“) და სხვა მრავალი. საბჭოთა პიესებში მან შექმნა აგრეთვე მთელი რიგი ახალი სახეები და დიდი დამაჯერებლობით გადმოგვცა საბჭოთა ადამიანის ხასიათი, მისი სულიერი სამყარო. ასეთია მის მიერ განსახიერებული ოპანეზ-ბიძა (ა. ბარსეღიანის — „სომეხი ქალი“), პროფესორი (მ. ჭოჩარიანის — „ბრმა მუსიკოსი“), პაპა სიმონი (გ. ბორჩაწის — „მწვერვალებზე“), სამსონ (ა. და ა. პაპაიანების — „დიდი სიყვარული“) და სხვ. დიდია ლ. ალაჰვერდიანის დამსახურება სომხური თეატრის წინაშე. მან განსაკუთრებული წვლილი შეიტანა საბჭოთა სომხური სცენის განვითარების საქმეში.

ლ. ალაჰვერდიანი დღესაც ახალგაზრდული ენერგიით, დიდი ხალისითა და მონდომებით ემსახურება საბჭოთა სცენას და იბრძვის მისი შემდგომი აღმაფლობისათვის.

ᲡᲣᲠᲔᲜ ᲐᲕᲭᲘᲐᲜᲘ.

ᲡᲞᲝᲠᲢᲘ

ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲙᲐᲚᲐᲗᲑᲣᲠᲗᲔᲚᲗᲐ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲒᲐᲛᲝᲡᲚᲕᲐ

მსოფლიო ჩემპიონების ამერიკის შეერთებული შტატების კალათბურთელ ქალთა და ვაჟთა გუნდების პირველმა გამოსვლამ მოსკოვში დიდი ინტერესი გამოიწვია. როგორც ვიუწყებოდით, ქალთა გუნდების ასპარეზობაში გამარჯვებული გამოვიდნენ საბჭოთა სპორტსმენები, ხოლო ვაჟთა გუნდების შეჯიბრებაში — სტუმრები.

გუშინ გაიმართა ამ ორი ქვეყნის ნაკრები გუნდების მეორე შეხვედრა.

ქალთა გუნდების შეჯიბრებაში კვლავ საბჭოთა სპორტსმენებმა გაიმარჯვეს 48 : 41. ვაჟთა გუნდების შეხვედრის პირველი ტაიმის შედეგი იყო 35 : 34 საბჭოთა სპორტსმენების სასარგებლოდ. შეჯიბრების მეორე ნახევარში ინიციატივა ხელთ იგდეს სტუმრებმა და გიმარჯვეს ანგარიშით 81 : 68.

დღეს ამერიკელ კალათბურთელებს თბილისში მოელიან.

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲝᲒᲐᲖᲔ

მოსკოვი, 26 აპრილი. დღეს დედაქალაქში გაიხსნა ფეხბურთის სეზონი. ტრადიციის მიხედვით სეზონის გახსნისას ერთმანეთს ხვდებიან ჩვენი ქვეყნის ჩემპიონი და თასის მფლობელი. ამჯერად თამაშობდნენ მოსკოვის „დინამოსა“ და „ლოკომოტივის“ გუნდები. შეხვედრა დამთავრდა ანგარიშით 3 : 1 „ლოკომოტივის“ სასარგებლოდ.

კიევი, 26 აპრილი. XX ჩემპიონატის ერთ-ერთმა ლიდერმა კიევის „დინამომ“ მორიგი შეხვედრა თავის მოედანზე გამართა კიშინიოვის „მოლდოვას“ ფეხბურთელთა კოლექტივის წინააღმდეგ. მატჩის შედეგია ფრე 2 : 2.

სტალინო, 26 აპრილი. თბილისის დინამოელებმა მეექვსე კალენდარული შეხვედრა ფეხბურთში სსრ კავშირის პირველობაზე გამართეს სტალინოში „შახტიორის“ წინააღმდეგ. 90-წუთიანი ბრძოლა დამთავრდა თბილისელთა გამარჯვებით 1 : 0.

ᲛᲝᲯᲘᲓᲐᲕᲔᲗᲐ ᲒᲣᲜᲓᲣᲠᲘ ᲐᲡᲐᲠᲔᲖᲝᲒᲐ

24 აპრილს მოსკოვის სასპორტო საზოგადოება „კრილია სოვეტოვის“ დარბაზში დაიწყო ახალგაზრდა მოჭიდავეთა კოლექტივების გუნდური ასპარეზობა თავისუფალ ჭიდაობაში სსრ კავშირის პირველობაზე.

შეჯიბრებაზე დაშვებული არიან სპორტსმენები არა უმეტეს 23 წლისა. პირველი შეხვედრა საქართველოს გუნდმა გამართა აზერბაიჯანელ მოჭიდავეებთან და გაიმარჯვა ანგარიშით 5:3.

Მ. ᲨᲘᲨᲝᲕᲘᲡ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲐ

კალუგაში დამთავრდა სასპორტო საზოგადოება „ლოკომოტივის“ პირველობის გათამაშება ჭადრაკში.

ჩვენი რესპუბლიკიდან შეჯიბრებაში მონაწილეობას იღებდა ოსტატი მ. შიშოვი, რომელმაც წარმატებით ჩაატარა შეხვედრები და „ლოკომოტივის“ ჩემპიონის წოდება მოიპოვა.

ნეკროლოგი

Შ. Ი. ᲛᲔᲚᲥᲐᲫᲔ

25 აპრილს ხანგრძლივი და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ჩვენი პარტიის ერთგული შვილი, უშიშარი მებრძოლი, გვარდიის პოლკოვნიკი შალვა ივანეს-ძე მელქაძე.

შ. ი. მელქაძემ მთელი თავისი შეგნებული სიცოცხლე მოახმარა საბჭოთა არმიაში სამსახურს. მან განვლო სახელოვანი გზა ჯარისკაციდან შენაერთის მეთაურამდე.

დიდი სამამულო ომის დაწყებისთანავე შ. ი. მელქაძე მოქმედ არმიაშია. ლენინგრადის ფრონტის ერთ-ერთ უბანზე შენაერთმა, რომელსაც შ. მელქაძე ხელმძღვანელობდა, სასტიკი დარტყმები მიაყენა მტერს. შ. მელქაძე ყოველთვის მოწინავეთა რიგებში იყო, სიმამაცისა და გმირობის მაგალითებს აძლევდა მებრძოლებს.

ლენინგრადთან მტრის განადგურების შემდეგ შ. ი. მელქაძეს ბრძოლების წარმოება მოუხდა სხვადასხვა ფრონტზე; განსაკუთრებით მძაფრი ბრძოლები გადაიხადა მისმა შენაერთმა მდინარე ოდერის მარცხენა ნაპირზე, სადაც იგი მძიმედ დაიჭრა.

შ. მელქაძის თავდადება და სამშობლოსადმი ერთგულება ღირსეულად დაფასა საბჭოთა მთავრობამ, დაჯილდოვარა იგი ლენინის ორდენით, წითელი დროშის ორი ორდენით და სხვა ორდენებითა და მედლებით.

გვარდიის პოლკოვნიკ შალვა ივანეს-ძე მელქაძის ნათელი ხსოვნა სამუდამოდ დარჩება მისი ამხანაგების გულში.

ᲐᲛᲮᲐᲜᲐᲒᲔᲑᲘᲡ ᲯᲒᲣᲤᲘ.

ᲓᲐᲘᲬᲧᲝ ᲡᲐᲓᲦᲔᲡᲐᲡᲬᲐᲣᲚᲝ ᲕᲐᲭᲠᲝᲑᲐ

გუშინ, 25 აპრილს, თბილისში, ბათუმში, სტალინირში, სოხუმში, ქუთაისში, რუსთავში და სხვ. დაიწყო სადღესასწაულო ვაჭრობა, რომელიც 5 მაისამდე გაგრძელდება. სავაჭრო ორგანიზაციები, კვების ობიექტები კარგად მოემზადნენ სადღესასწაულოდ მშრომელთა კულტურული მომსახურებისათვის.

ფართო ასორტიმენტით ივაჭრებენ სამრეწველო საქონლის მაღაზიები, დამატებით გამოიტანენ მილიონობით მანეთის საქონელს.

წინასადღესასწაულო და დღესასწაულის დღეებში მარტო თბილისის სასურსათო მაღაზიებში ყოველდღიურად გამოტანილ იქნება 30 ტონა ხორცი, 15 ტონა ძეხვეული, 20 ტონა კარაქი, 20 ტონა თევზეული, დიდძალი საკონდიტრო და რძის ნაწარმი.

მშრომელთა უკეთ მომსახურების მიზნით გახანგრძლივებულია ვაჭრობის საათები. წინასადღესასწაულო დღეებში — 28, 29, 30 აპრილს ყველა სასურსათო მაღაზია იმუშავებს ღამის 12 საათამდე, სამრეწველო საქონლის მაღაზიები ღამის 10 საათამდე. პირველ მაისს ივაჭრებს პურისა და მორიგე სასურსათო მაღაზიები. 2 მაისს იმუშავებს ყველა სასურსათო და თბილისის დიდი სამრეწველო მაღაზიები.

მშრომელთა დემონსტრაციის დროს, აგრეთვე მშრომელთა სეირნობისას ხალხმრავალ ადგილებში მოეწყობა დატარებითი ვაჭრობა.

რედაქტორი პ. ᲠᲐᲢᲘᲐᲜᲘ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სატყეო მეურნეობის, ნაკრძალებისა და სამონადირეო მეურნეობის მთავარი სამმართველო

ამით აცნობებს მოქალაქეებს და თევზის ბიმპოვებელ ორგანიზაციებს, რომ საქართველოს სსრ წყალსატევებში თევზჭერის წესებისა და ვადების შესახებ დებულების შესაბამისად **აკრძალულია:**

1. ყოველგვარი თევზჭერა მდინარეების რიონის, ხობისწყლისა და ენგურის ზღვასთან შესართავის წინა სივრცეში შესართავიდან თითო კილომეტრ მანძილზე მარჯვნივ და მარცხნივ და 2 კილომეტრ მანძილზე ზღვის სიღრმეში — **31 აგვისტომდე** და ზუთხის ჯიშის თევზის ჭერა კავებით მდ. რიონში შენაკადებიანად და ყველა სხვა მდინარეში **მთელი წლის განმავლობაში.**

2. შავი ზღვის ორაგულის ჭერა ყველა მდინარეში, რომლებიც ერთვიან შავ ზღვას, **მთელი წლის განმავლობაში,** ხოლო ორაგულის ჭერა შავ ზღვაში — **1 მაისიდან 31 დეკემბრამდე.**

3. თევზის ჭერა მდინარე შავწყალაში — **მთელი წლის განმავლობაში.**

4. მდინარე მტკვარში მის შენაკადებიანად აზერბაიჯანის სსრ საზღვრიდან დაწყებული ზევით თურქეთის საზღვრამდე — **1 მაისიდან 31 აგვისტომდე,** თევზის ჭერა თარფებით მდ. მტკვარში თურქეთის საზღვრიდან სოფ. ხერთვისამდე — **მთელი წლის განმავლობაში.**

5. მდ. ხრამში მის შენაკადებიანად — **15 მაისიდან 31 აგვისტომდე.**

6. მდ. ალაზანში მის შენაკადებიანად და მდ. იორში — **1 მაისიდან 31 აგვისტომდე.**

7. მდინარეებში თევზის ჭერა თარფებით — **31 აგვისტომდე.**

8. კალმახის ჭერა ყველა მდინარეში — **1 სექტემბრიდან 31 დეკემბრამდე.**

9. თევზის ჭერა სასროლი ბადით — **1 მაისიდან 31 აგვისტომდე.**

10. პალისტომის ტბაში და მის შენაკად მდინარეებში — **1 მაისიდან 31 ივლისამდე.**

11. თაფარავანის, საღამოს, ტაბაწყურის ტბებში — **15 ოქტომბრიდან 31 დეკემბრამდე,** ხოლო კობრის ჭერა თაფარავანის ტბაში — **15 მაისიდან 31 აგვისტომდე.**

12. ხრამის წყალსაცავში — **15 მაისიდან 31 აგვისტომდე.**

13. თევზის ჭერა ყოველგვარი იარაღით ტბებში და წყალსაცავებში, რომლებშიც ტარდება თევზის აღდგენისა და აკლიმატიზაციის ღონისძიებანი.

თევზის ჭერა პირადი მოხმარებისათვის (გაყიდვის უფლების აღკვეთით) აკრძალულ დროს **ნებადართულია მხოლოდ ანკესებით ყველგან,** მდ. შავწყალას, ჯანდარის ტბისა და თბილისის წყალსაცავის გამოკლებით.

თევზჭერის წესებისა და ვადების შესახებ დებულების ზემოთ მოყვანილი პუნქტების დამრღვევნი მიცემულ იქნებიან პასუხისგებაში საქართველოს სსრ სისტლის სამართლის საფუძველზე.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სატყეო მეურნეობის, ნაკრძალებისა და სამონადირეო მეურნეობის მთავარი სამმართველო.

ᲨᲕᲔᲘᲪᲐᲠᲘᲔᲚᲘ ᲛᲮᲐᲢᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲤᲔᲜᲐ

1956 წელს ვენეციაში მოწყობილ საერთაშორისო მხატვრულ გამოფენაზე XXVIII ბიენალეზე შვეიცარიის პავილიონში არცერთი რეალისტი მხატვარი წარმოდგენილი არ ყოფილა. ამ ფაქტის უმართებულობის აშკარა დასაბუთებაა საბჭოთა კავშირში ქ. მოსკოვსა და ლენინგრადში მოწყობილი შვეიცარიის თანამედროვე პროგრესული რეალისტი მხატვრების ორელ ბაროს, ჰანს ერნის, რობერ ენარის და ჰენრიხ შტრუბის ნაწარმოებების გამოფენასადმი საზოგადოების დიდი ინტერესი და მისი დამსახურებული წარმატება.

დღეს იხსნება ამ მხატვართა ნამუშევრების გამოფენა საქართველოს სსრ ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ჰანს ერნის გრაფიკული შემოქმედება. იგი შვეიცარიის პროგრესული მოღვაწე და მშვიდობის საერთაშორისო პრემიის ლაურეატია. მისი შემოქმედების მთავარი თემა ადამიანია, მისი ძალისა და სილამაზის განდიდება, რასაც მხატვარი ხშირად განზოგადებული სიმბოლიური სახეების შექმნით აღწევს. ასეთია, მაგალითად, მისი „იკარი“. ადამიანისადმი რწმენა შესაძლებლობას აძლევს მხატვარს დაინახოს მასში დიდი შინაგანი ძალა, მისი ფიზიკური და სულიერი სილამაზე. ლითოგრაფიაში „მუშა“ ენერგიულ და მტკიცე მოძრაობაში გადმოცემულია მხატვრის რწმენა მუშათა კლასის მომავლისადმი, ხოლო ლითოგრაფიაში „ოთხ ბოგონა“ შესანიშნავად გადმოცემულია ახალგაზრდა სხეულის სილამაზე. კომპოზიცია მეტად შეკრული და რიტმულია. რიტმულობას აძლერებს ფონიდან გამოყოფილი ფერადი ლაქა, რომელიც ხაზს უსვამს სხეულების მოძრაობას. ამავე ხერხს (ფერადი ლაქის საშუალებით სხეულის მოძრაობის გაძლიერება) მხატვარი იყენებს ნაწარმოებებში „ცხენების წრე“, „მხედარი“ და სხვ. მთელ რიგ ლითოგრაფიებში — „საუბარი“, „ჰასტორალი“, „შეყვარებულნი“, „მორბენალნი“ — იგრძნობა სხეულის ფორმის სკულპტურული ძერწვა, მათი პლასტიკურობა და მონუმენტურობა. მხატვარი შესანიშნავად ფლობს ნახატს — ხაზის კონტური მეტად მოქნილი, ცოცხალი და რიტმულია. კომპოზიციის ხასიათი და მხატვრული გამოსახვის ხერხები ხშირად მის ნამუშევრებს ერთგვარ დეკორატიულ იერს აძლევს. მეტად საინტერესოა „ბალეტის სერია“, რომელიც მხატვარმა საბჭოთა კავშირის დიდი თეატრის საბალეტო დასის რეპეტიციების დროს შეასრულა 1954 წელს პარიზში.

ჰ. ერნი ძირითადად ფერად ლითოგრაფიაში მუშაობს, მის ნამუშევარს ერთმანეთში გარდამავალი რბილი ტონების ჰარმონიული შეხამება ახასიათებს.

ჰანს ერნი — ქალიშვილი და ჯაბუკი მოლზე (ფერადი ლითოგრაფია).

რობერ ენარი ამჟამად შვეიცარიაში ცნობილია არა მარტო როგორც მხატვარი, არამედ როგორც გამოჩენილი ზოოლოგიც. ამ გამოფენაზე იგი ძირითადად გვევლინება როგორც მხატვარი-ანიმალისტი. აღსანიშნავია, რომ თავისი მეცნიერული შრომების ილუსტრაციები მისივე ნახატებია. იგი შესანიშნავად გადმოგვცემს ცხოველების და ფრინველების თვისებებს, მათ ბუნებას. მხატვარი არასოდეს არ გამოხატავს მათ ცალკე, გარემოსაგან მოწყვეტით. გარემო პეიზაჟი ყოველთვის ორგანულად დაკავშირებულია ცხოველის თუ ფრინველის ბუნებასთან — მათს ხასიათსა და გაფწყობასთან („შველი“, „რუხი მგლები“ და სხვ.). მხატვარი თავის გრავიურებში უპირატესობას ნაცრისფერ ტონებს ანიჭებს, მხოლოდ იშვიათად იყენებს მკვეთრ მოაგურისფრო წითელ ფერებს — „შველი გაზაფხულზე“, „იხვები“. გრავიურებში მიღწეული ტონების ხავერდოვანი სიღრმე. ფერთა ეფექტურობას მხატვარი აღწევს ფართო ლაქებისა რბილი გადასვლებით, რაც გრავიურას ერთგვარ პოეტურ განწყობილებას ანიჭებს.

რ. ენარი კარგად იყენებს ფერადი გრავიურის ტექნიკას ხეზე და აღწევს შესანიშნავ მხატვრულ ეფექტს. მისი ნაწარმოებები აკვარელით შესრულებული ნამუშევრების შთაბეჭდილებას ტოვებენ.

ორელ ბარო ეკუთვნის ე. წ. „ტრადიციონალისტებს“, ე. ი. მხატვრებს, რომლებიც XIX საუკუნის ტრადიციების მიხედვით მუშაობენ. იგი პეიზაჟისტია, მისი ოფორტების მთავარი თემატიკა პარიზის სამრეწველო უბნებია. ის შესანიშნავად ფლობს ოფორტის რთულ ტექნიკას. მხატვარი სხვადასხვა მიმართულებით გატარებული წვრილი შტრიხებით ჩრდილიან ადგილებში ხავერდოვან სიშავეს აღწევს, განათებულ ადგილებში კი გარკვეულ ეფექტურობას („არხი პარიზში“, „ბარაკები“ და სხვ.).

ჰენრიხ შტრუბი გამოჩენილი საზოგადო მოღვაწე და კომუნისტური პარტიის წევრია. ყურადღებას იპყრობს მის მიერ შესრულებული ანდერსენისა და ძმები გრიმების ზღაპრების ილუსტრაციები, რომლებიც შესანიშნავად გადმოგვცემენ ზღაპრის ხასიათს.

გამოფენა, მოწყობილი „შვეიცარია-საბჭოთა კავშირის საზოგადოების“ მიერ, საშუალებას აძლევს მნახველებს გაეცნონ შვეიცარიის თანამედროვე რეალისტური ხელოვნების ერთ-ერთ წამყვან დარგს — გრაფიკას.

Გ. ᲚᲝᲠᲗᲙᲘᲤᲐᲜᲘᲫᲔ, Ნ. ᲥᲐᲠᲣᲨᲘᲫᲔ.

ᲓᲦᲔᲡ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲗᲔᲐᲢᲠᲔᲑᲨᲘ

ოპერისა და ბალეტის — ქეთო და კოტე (დღისით), ჩრდილოეთის პატარძალი (საღამოს). **რუსთაველის სახელობის** — ეზოში ავი ძაღლია (დღისით), ოტელო (საღამოს), **მარჯანიშვილის სახელობის** — მარინე (დღისით), მოკვეთილი (საღამოს), **გრიბოედოვის სახელობის** — სიყვარული სამუდამოდ (დღისით), მფლანგველი (საღამოს), **მუსიკალური კომედიის** — ბალი (დღისით), კომბლე (საღამოს), **სომხური დრამის** — ფერხადი და შირინი (დღისით და საღამოს). **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — კომბლე (10 ს., აბ. № 9), ამქვეყნიური სამოთხე (2 ს., აბ. № 50, 5 ს., აბ. № 32), **მოზარდ მაყურებელთა რუსული** — ცხოვრების ფურცელი (11 ს., აბ. № 39, 5 ს., აბ. № 33).

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის საწყობს ესაჭიროება:

მტვირთავი მუშები

პირობების შესახებ მიმართეთ: ლენინის ქ. № 14, III სართული.

მეუღლე რევეკა, შვილები ელეონორა, ედუარდი, რძლები მარია, ეთერ, სიძე აკაკი ხარებავა, ძმები ვალერიან, აქვსენტი, დები ნადეჟდა, ლიდა ოჯახებით, შალვა და ედუარდ მელიქაძეები, შალვა ხარებავა, ვალერიან, ნადეჟდა და ლუბა ჭახნაკიები იუწყებიან

შალვა ივანეს-ძე მელქაძის

გარდაცვალებას. დაკრძალვა 29-IV, 5 ს. ქ. სოხუმში (ლეჩკოპი).

ᲣᲔ 02540

საქართველოს კპ ც. კ-ის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. № 14.